# საერთო გაზეთი

№28 (761)
ოთხშაბათი
7 აგვისტო,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.




## გახსნილი „პანდორას ყუთი“ და „გლობალური ომის პარტიის“ შორსმიმავალი გეგმები

### აშშ-მ სომხეთში ზღვა და ღრმაწყლოვანი პორტი აღმოაჩინა

### სამართლებრივი არგუმენტები, რის გამოც მამუკა ხაზარაძემ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით საქართველოსთან საერთაშორისო დავა წააგო



### დასავლეთი ურეიტინგო პოლიტიკოსებზე ფულს არ ხარჯავს

### სჯობს, ამერიკამ საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობას მიხედოს!

### კანონდარღვევაა, როდესაც საარჩევნო კამპანიაში უცხო ფული მონაწილეობს

### „ედისონ რისერჩი“: ოპოზიცია თუ არ გაერთიანდა დედა კი არა, დედინაცვალიც არ ეყოლება!

# ირაკლი კობახიძე: შოვში, ტრაგედიის ადგილზე ტაძარი აშენდება



„ზუსტად ერთი წელი გავიდა შოვის ტრაგედიიდან. ჩვენ ყველას გვახსოვს ის უმძიმესი დღეები, რომლებიც ყველამ გამოვიარეთ, თუმცა ყველაზე მძიმე რა თქმა უნდა, ჭირისუფლებისთვის იყო ეს დღეები და კიდევ ერთხელ მინდა, მათ მივუსამძიმრო. ეს იყო ძალიან დიდი ტრაგედია, რომელმაც შეძრა მთელი ქვეყანა და ჩვენი ვალია დღეს, რომ მაქსიმალური ყურადღება და თანაგრძნობა გამოვხატოთ. არის მათ შორის კონკრეტული თხოვნები, ტერიტორიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია ჭირისუფლებისთვის და აუცილებლად ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ყველა თხოვნა შევასრულოთ.

აქ აშენდება ტაძარი, ეს არის ერთგვარი მცირე თანაგრძნობა, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დაეღუპათ ოჯახის წევრები“, - განაცხადა პრემიერმა.

●

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მონიტორინგის სისტემებთან დაკავშირებულ პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უძღვება.

ირაკლი კობახიძეს კითხვა დაუსვეს, რომელიც შოვში ტრაგედიის შესაძლო თავიდან აცილებასთან დაკავშირებით თეა გოდოლაძის განცხადებას შეეხებოდა.

„არ მინდა, რაღაც კომენტარები გავაკეთო ამ ადამიანის განცხადებებთან დაკავშირებით. გახსოვთ, რომ არაერთი ცრუ ინფორმაცია ვრცელდებოდა მისი მხრიდან უშუალოდ ტრაგედიის დღეებში და ყველაზე მძიმე ისაა, როდესაც ტრაგედიის დღეებში შეგნებულად ვრცელდება ცრუ ინფორმაცია. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტყუილი, რაც მან გაავრცელა იყო ის, თითქოს ტბა იყო დაგუბებული და ეს ტბა მოწყდა მყინვარიდან. არ მინდა, ამაში შევიდე, არ მინდა, ამაზე მეტი კომენტარი გავაკეთო. რაც შეეხება სისტემებს, ამასთან დაკავშირებით გავაკეთე განცხადება ჯერ, როცა მთავრობის დამტკიცების დღე იყო, შემდეგ როცა პარლამენტს ყოველწლიური ანგარიში ჩავაბარე. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უძღვება ამ სამუშაო პროცესს. შვეიცარიელი პარტნიორია ჩართული ამ ყველაფერში და სათანადო ვადებში ყველა შესაბამისი მყინვარი იქნება დაფარული მონიტორინგის სისტემით, ეს გარკვეულ დროს მოითხოვს, თუმცა სათანადო ვადებში, შვეიცარიელ პარტნიორებთან ერთად ყველა სამუშაო შესრულდება“, - აღნიშნა პრემიერმა.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სამების საკათედრო ტაძარში ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებულ, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად, დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა.

16 იდენტიფიცირებული პირი, რომელთაგან 7 სამხედრო და 9 მშვიდობიანი მოქალაქეა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლობით გადმოასვენეს.

4 მებრძოლს დიღმის ძმათა სასაფლაოზე, დანარჩენებს კი, ოჯახების გადაწყვეტილებით, საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

●

ე.წ. „დემოკრატიის ფესტივალზე“ გამოფენილი იყო სააკაშვილის სურათები, რაც ნიშნავს იმას, რომ იქ რეალურად ტარდება „ავორიტარიზმის ფესტივალი“, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამას აფინანსებენ უცხოელი დონორები.



„ძალიან ცუდია ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეს არის არასწორი ჩარევა საარჩევნო პროცესებში. სამწუხაროდ, არჩევნები წარიმართება საარჩევნო პრინციპების უხეში დარღვევის ფონზე, თუმცა ეს დარღვევები რეალურად შედეგებზე ვერ აისახება, ქართული საზოგადოება კარგად ხედავს ყველაფერს. აქედან გამომდინარე, როგორი ჩარევაც უნდა განხორციელდეს, მათ შორის, გარე ჩარევა, ეს რაიმე არსებით გავლენას არჩევნების შედეგებზე ვერ მოახდენს. მათ შორის, ვერც უცხოეთიდან დაფინანსებული ავტორიტარიზმის ფესტივალები ვერ დააბრუნებს საქართველოში ავტორიტარიზმს,“- განაცხადა პრემიერმა.

●

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ხაზარაძე-ჯაფარიძემ შეიტანეს საარბიტრაჟო სარჩელი საერთაშორისო დონეზე და ეს დავა წააგეს ქართულ სახელმწიფოსთან.

„უსუსური მცდელობაა, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გადაფარონ, თუმცა საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ისინი ვერანაირად ვერ გადაფარავენ. მათ შეიტანეს შესაბამისი საარბიტრაჟო სარჩელი საერთაშორისო დონეზე და ეს დავა წააგეს ქართულ სახელმწიფოსთან, ამის მერე ნებისმიერი მცდელობა, რომ ეს მარცხი გადაფარონ, არის უსუსური და განწირულია წარუმატებლობისთვის“,

●

ჩვენთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია მთის განვითარებაზე, მაღალმთიანი აჭარის განვითარებაზე ზრუნვა და ეს მომავალშიც გაგრძელდება,

“ხულო-ზარზმის გზაზე ბევრჯერ იყო საუბარი და მიხარია, რომ ეს პროექტი წელს ბოლომდე იქნება მიყვანილი. განსაკუთრებული მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელებაში. ბატონ ირაკლი ქარსელაძეს განსაკუთრებული მადლობა ამისთვის.

ძლიერი მთა ნიშნავს ძლიერ საქართველოს, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ვიზრუნოთ ჩვენს მთიანეთზე, ქართულ მთაზე, მაღალმთიან აჭარაზე და ასე იქნება აუცილებლად მომავალშიც“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბეშუმში “შუამთობის” დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

●

„ჩატარდა სამუშაოები, მოვიძიეთ ლოკაციები, სადაც ყველაზე ეფექტიანად შეიძლება ტურიზმის, მათ შორის მსხვილი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ერთ-ერთი ასეთი ლოკაციაა მრავალძალის ზონა, სადაც ძალიან კარგად შეიძლება, განვითარდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და არის ასევე მეორე ზონა, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებულ პუნქტს, ეს არის შხივანა, ბეთლევი, სხარტალის ზონა, სადაც ასევეარის შესაძლებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მაღალ დონეზე. ამაზე ძალიან აქტიურად ვიმუშავებთ პოტენციურ ინვესტორებთან ერთად. ვფიქრობთ ასევე უცხოური კომპანიების ჩართვას, რომლებიც დაგვეხმარებიან პროექტების დაგეგმარებაში. ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად ვიზრუნოთ რაჭის განვითარებაზე და უფრო კონკრეტულად, რაჭის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე“.



# ამერიკისთვის ობიექტური რეალობა და ღირსება უმნიშვნელოა!



*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი*
*რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპაში ღირსებით მივდივართ, თუმცა დასავლეთისგან პასუხად სანქციებს, ინტეგრაციის პორცესისა და ფინანსური დახმარებების შეჩერებას ვიღებთ...**

— ინტეგრაციის პროცესის შეჩერების პირველ მიზეზად დასავლეთი გამჭვირვალობის კანონის მიღებას ასახელებს, რითაც თურმე დემოკრატიის უკუსვლას ვუწყობთ ხელს. ღალატად გვითვლიან რუსეთისა და ჩინეთისკენ „სვლასაც“. კიდევ ერთი საბაბი ხელისუფლების მიერ მედიის შეზღუდვაა. მოდი, დეტალურად გავაანალიზოთ ის მიზეზები, რის გამოც გვსაყვედურობენ. პრესის კანონთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ დასავლეთთან თანამშრომლობაზე მზაობა არაერთხელ გამოთქვა, თუმცა, სათათბირო შეხვედრაზე ელჩებიც კი არ მივიდნენ. ბოიკოტის ეს ფორმა ცხადყოფს, რომ ევროპას კანონის ხარისხი არ აინტერესებს, არამედ კანონი საბაბად სჭირდება. ეს რეალურ მიზეზად ვერ გამოდგება. რაც შეეხება მეორე მიზეზს, გვსაყვედურობენ, ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებთო, მაგრამ ვერ გვისაბუთებენ, მხოლოდ იმას გაიძახიან: რუსული კანონი რატომ მიიღეთო. თანაც, ამ თემაზე ის ქვეყნები გვსაყვედურობენ, რომლებიც რუსეთთან იმდენად ინტენსიურად ვაჭრობენ, რომ სანქციების ქვეშ მყოფი ქვეყანა მოგებაშია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოლდოვა ესენგეს წევრია, მაგრამ ამას არავინ აყვედრის. ასე რომ, ჩვენზე განაწყენების რეალურ მიზეზად ვერც ეს არგუმენტი გამოდგება.

ერთადერთი და მთავარი, რაც დასავლეთს რეალურად აწუხებს, ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობაა. ჯერ კიდევ ტრამპის პრეზიდენტობის დროს პომპეომ მიგვითითა, ანაკლიის პორტში ჩინეთი არ შემოუშვათო. მაშინ არც გამჭვირვალობის კანონი არსებობდა და არც „ანტიდასავლური“ რიტორიკა. ტრამპის მმართველობის დროს გაცხადდა, რომ ამერიკისთვის ჩინეთთან დაპირისპირება წამყვანი საკითხი იქნებოდა, რადგან ეს უკანასკნელი აშშ-ის კონკურენტია. ამერიკა დასავლეთის კურატორია, ამიტომ ეს ქვეყნებიც ისე იქცევიან, როგორც აშშ-ს სჭირდება. რატომ ხდება საქართველოზე ფოკუსირება? — იმიტომ, რომ აქ ტრანზიტმა უნდა გაიაროს, ანაკლიის პორტის ჩათვლით, რითაც მოგებული ჩინეთი რჩება — ასე მისთვის ევროპის ბაზარი უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

ჩვენ ჩინეთთან ურთიერთობის კუთხით მკვეთრი ნაბიჯები გადავდგით, თან ცოტაც ვიეშმაკეთ, რაც დასაფასებელია. ჩინური მატარებლის აქ შემოსვლას არავინ ელოდა. ასევე, არ ელოდნენ, რომ სპორტულ ღონისძიებაზე წასული ღარიბაშვილი ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას მოაწერდა ხელს. საქართველომ ეშმაკობით ჩინეთის გამოწვდილ ხელს ხელი ჩამოართვა. აი, ამ ფონზე დაწყო დასავლეთმა ჩვენთან ბრძოლა. ეს იქამდე გაგრძელდება, სანამ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები არ დალაგდება იმდენად, რომ აშშ-მა ჩინეთის დამარცხება სწორედ კავკასიის საშუალებით არ მოინდომოს. სხვათა შორის, ტრამპმა რესპუბლიკელების ყრილობაზე ჩინეთს ეკონომიკური ბრძოლა გამოუცხადა, რაც შეიძლება კიდეც გვაწყობდეს და სახიფათოც იყოს, რადგან ეკონომიკურმა ტრანზიტმა სწორედ კავკასიაზე უნდა გაიაროს. ამ ფონზე კარგად უნდა გავაანალიზოთ, რატომ გვებრძვის ამერიკა. ჩვენ სანქციებით გვემუქრებიან, ოღონდ არა გამჭვირვალობის კანონის ან რუსეთისკენ სვლის, არამედ ჩინეთთან ურთიერთობის გამო. ჩინეთის ხსენებას ვერ ბედავენ, რადგან დიდი ქვეყანაა და მისთვის მათრახის გადარტყმა უჭირთ. სამაგიეროდ, რუსეთის გინებაზე ენა ყველა ქვეყანას შეჩვეული აქვს. ამიტომ ძირითადი ბრალდებაც სწორედ ხელისუფლების პრორუსულობაზე გაისმის, ჩინეთი აქა-იქ გაიელვებს ხოლმე. ამ ვითარებაში გამოსავლის პოვნა გაძნელდება.

**— სენატში გამართულ სხდომაზე ო'ბრაიანმა პირდაპირ გვიბრძანა, ანაკლიის პორტი ჩინეთმა არ უნდა ააშენოსო.**

— კი ბატონო, ეს ერთ-ერთ პირობად წამოგვიყენეს. მაშ, სხვა ვინ უნდა ააშენოს, ეს საკითხი ბუნდოვანია. პომპეომაც ეს გვითხრა, თან აღნიშნა, პორტის აშენება მნიშვნელოვანიაო. რატომ არის აშშ-ისთვის პორტი მნიშვნელოვანი? — ის შავი ზღვის პორტია, რაც, ფაქტობრივად, სევასტოპოლის საპირწონეა. რუსეთი შავ ზღვას სევასტოპოლში აკონტროლებს. ამერიკას კი სევასტოპოლის მსგავსი კონტროლის მექანიზმი არ გააჩნია. ამიტომ, მისთვის ასეთი საპირწონე შეიძლება ანაკლიის პორტი აღმოჩნდეს. მაგრამ სევასტოპოლთან საქართველოს დაპირისირების თემა, აშშ-ს არ აწუხებს. მაშინ ჩადოს ამერიკამ თანხები, ააშენოს პორტი და თავად გახდეს მისი ბატონ-პატრონი. მათ უნდათ, რომ უარი ვუთხრათ ჩინეთს, შედეგად ის გადავიმტეროთ, თვითონ კი მშვიდად იყვნენ. ეს, დაახლოებით, იგივე პოლიტიკაა, რასაც უკრაინაში აკეთებენ — სხვა ქვეყნის ხარჯზე საკუთარ ინტერესებს ატარებენ. ამერიკას აქაც სურს, რომ საქართველოს ხარჯზე გაატაროს ის ინტერესები, რაც მისთვის ხელსაყრელია.

**— პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობები რუსეთ-უკრაინის ომის ტყვეობაშია. პრემიერი კი აშშ-სთან გადატვირთვის პოლიტიკას მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ ხედავს...**

— ზემოთ ვახსენეთ, რომ ჩინეთი ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობის გაუარესების ფაქტორია, თუმცა ეს უკრაინასთან კავშირში არ არის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ომის დასრულება მხოლოდ ერთ პრობლემას — მეორე ფრონტის გახსნის საკითხს მოხსნის. მაგრამ დარჩება შემდეგი პრობლემა: დასავლეთმა დაინახა, რომ საქართველო მისთვის ხელსაყრელი პარტნიორი არ არის. კერძოდ, თქვენ ახსენეთ, რომ ევროპაში ღირსებით შესვლა გვინდა. მაგრამ დასავლეთს აწყობს ჩვენი იქ ღირსებით შესვლა?! ღირსების შენარჩუნება რომ გვინდა, ეს დასავლეთის თვალში დადებითი მოვლენაა, თუ უარყოფითი?! დასავლეთი გამოსავალს აქ ხელისუფლების შეცვლასა და ნაცების დაბრუნებაში ხედავს. ამ ყველაფრის ფონზე, დასავლეთი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნით თუ უბრალოდ, არეულობის მოწყობით, ცდილობს, ხელისუფლებაში ის ძალები მოიყვანოს, რომლებიც ღირსებას ადვილად გაწირავენ. ანუ, თუ დასავლეთი მოთხოვს, ულირს საქციელს მარტივად ჩაიდენენ. ოლიმპიადის გახსნაზე კარგად დავინახეთ, რა თვალით უყურებს დასავლეთი ღირსებას! დიახ, ღირსება მათთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს. ამ დროს ჩვენ ამაყად ვამბობთ, ევროპაში ღირსებით მივდივართ. სწორედ ღირსებით სიარული რომ გვინდა, ამიტომაც არ აწყობს დასავლეთს ის ხელისუფლება, ვინც ევროპაში შესვლას ღირსებით აპირებს. მას ისეთი ხელისუფლება აწყობს, რომელიც ულირსობაზე იქნება თანახმა. ხომ გვყავს ოპოზიციაში ხალხი, რომელიც ამბობს, ევროპამ ცალ ფეხზე დგომა რომ მოგვთხოვოს, უნდა დავდგეთო.

**— ო'ბრაიანმა, თუ გინდათ, დემოკრატიის უკუსვლა გაპატიოთ, სამართლიანი არჩევნები უნდა ჩაატაროთო. თავად აშშ-ის არჩევნები რა გავლენას მოახდენს საქართველოზე?**

— დემოკრატების კვლავ გამარჯვება ჩვენთვის სახიფათოა იმ მხრივ, რომ მათ ობიექტური რეალობა იშვიათად აინტერესებთ. აგერ, კონკურენტ ტრამპს ტყვია ესროლეს. ამის მერე ვის ჰგონია, რომ მათთვის ობიექტური რეალობა და ღირსება მნიშვნელოვანია?! ასეთი სტრატეგიის მქონე პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც არად დაგიდევს არც დემოკრატიულ, არც ადამიანურ ფასეულობებს და უფრო და უფრო ღრმად შედის პრაგმატიზმში, ამ სიტყვის ცუდი გაგებით, ამერიკისთვისაც სახიფათოა და ჩვენთვისაც. იგივე დამოკიდებულებაა ჩინეთთან ურთიერთობაშიც. მასთან დაპირისპირება კატასტროფულ შედეგს გამოიწვევს, რადგან ჩინეთი მარტო აღარ არის, ის ბრიქს-შია გაერთიანებული. ადრე ამერიკა ერთ ბირთვულ სახელმწიფოს — რუსეთს ვერ ერეოდა, ახლა კი ბირთვული სახელმწიფოების მთელ კომპლექტთან მოუწევს დაპირისპირება. თუ აშშ-მა სწორი სვლები ვერ მოიფიქრა და მხოლოდ მიწოლაზე აიღო ორიენტაცია, მისმა ჯიქურმა პოლიტიკამ შეიძლება მსოფლიო კატასტროფა გამოიწვიოს.



**— სააკაშვილმა უკვე მოუწოდა ოპოზიციას, თვეობით ქუჩაში დგომისკენ ემზადეთო...**

— სავარაუდოდ, ოპოზიცია ატეხავს ყვირილს, არჩევნები გაყალბდაო. ბევრი რამ ხალხზე იქნება დამოკიდებული. ხალხმა უნდა მოიკრიბოს გონიერება და ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს, რათა მეორე ფრონტის გახსნა, რევოლუციური პროცესები თავიდან ავირიდოთ. ხმების კონცენტრაცია „ქართულ ოცნებაზე“ უნდა მოხდეს.

**— რით ახსნით ოპოზიციის შეცვლილ რიტორიკას რუსეთთან მიმართებით?**

— ამას წინათ ზახაროვამ განაცხადა, თუ ქართული მხარე დათანხმდება, შეგვიძლია ურთიერთობების დათბობაზე ვიფიქროთო. ვფიქრობ, ურთიერთობების დათბობა რუსული ნარატივია. ნაცებს ახლა სწორედ ეს ნარატივი აწყობთ. „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ამერიკამ და რუსეთმა — ივანოვმა და ბუშმა მოიყვანეს. ნაცები იმიტომ აწყობთ, რომ ისინი ორივე მხარესთან თანამშრომლობენ — რუსეთთანაც და დასავლეთთანაც. სატრანზიტო დერეფნის აფეთქება ორივე მათგანის ინტერესშია. თუ შუა დერეფანს პრობლემა შეექმნება, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ტრანზიტი რუსეთზე გაივლის. დასავლეთს კი სატრანზიტო დერეფნის აფეთქება აწყობს, რადგან აშშ ჩინეთს ებრძვის. აი, ასეთი ორმაგი თამაშისთვის ემზადებიან ნაცები. მერე, უცებ რომ არ აღმოჩნდეს რიტორიკა შეცვლილი, ამიტომ ნელ-ნელა ცვლიან.

**— ოპოზიციამ ირანში ვიზიტის გამო კობახიძე გააკრიტიკა...**

— მგონი, თავად ნაცებს დაავიწყდათ, რომ 2008 წლის ომი მერე დასავლეთის ქვეყნებმა მიშას ბოიკოტი გამოუცხადეს. და რა მოიმოქმედა სააკაშვილმა? — მაშინვე ირანში გავარდა, მასთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და ირანს ევროპული ბაზრებისკენ გზა გაუხსნა. როგორც კი მიშამ ირანისკენ ნაბიჯი გადადგა, დასავლეთმა მასთან ურთიერთობა ისევ აღადგინა. ეს ხერხი — თუ მე გამებუტები ან დამემუქრები, იმ ქვეყნებისკენ წავალ, რომელიც შენ გიპირისპირდება, პოლიტიკაში ხშირად გამოიყენება. კობახიძე სწორად იქცევა, როცა ამბობს, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდესო. მეორე მხრივ, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ამერიკის დასანახად კეთდება — აშშ-ის პოლიტიკა გვაიძულებს, ირანის გვერდით დავდგეთ. ერთ-ერთი მოტივი, რატომაც ხელისუფლება ასე იქცევა, გადატრიალების საფრთხეა, რომლის ანალოგი 2003 წელს ამერიკისა და რუსეთის ტანდემით განხორციელდა. ანტიამერიკული რიტორიკაც იმ საფრთხემ გააჩინა, რომ გადატრიალება მართლა მზადდებოდა. აშშ-ისთვის ლოგიკურია, საქართველოში გადატრიალება მოაწყოს და მერე თამაში იმ ჯგუფთან განაგრძოს, რომელსაც 2003 წელს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა და 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებისთვის შენიშვნაც არ მიუცია. ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს, დასავლეთის დავალებებს როგორ შევასრულებთ, საკითხი ასე დგას: ვინ აწყობს აშშ-ს საქართველოს ხელისუფლებაში. და, ჩვენ, ქართველ მოსახლეობას ვინ გვაწყობს, რომ იყოს ქვეყნის სათავეში. ნაცები გვაწყობს? — აი, ამ ერთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი არჩევნებზე!




**თამარ შველიძე**

# დასავლეთი ურეიტინგო პოლიტიკოსებზე ფულს არ ხარჯავს



*გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე:*

**- „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, 1-ელი აგვისტოდან ძალაში შევიდა. როგორ მიიღეს ეს ამბავი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა?**

- დიახ, კანონი უკვე ძალაშია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა, რომლებიც უცხო ქვეყნებზე მუშაობენ და მათი ინტერესების გამტარებლები არიან, უკვე გააკეთა განცხადება, რომ რეესტრში არ დარეგისტრირდებიან და გადაიხდიან დაწესებულ ჯარიმას. როგორც ჩანს, მათ კარგად არ წაუკითხავთ ეს კანონი, რადგან ქუჩის აქციებს გადაყვნენ. კანონში საკმაოდ ბევრი მაკონტროლებელი ფორმაა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს ხელისუფლებამ, რომ ქვეყანაში შემოსული ნებისმიერი თანხა იყოს ღია, საჯარო და იცოდეს სახელმწიფომ, რაში იხარჯება შემოსული მილიონები! ვიცით, რომ იხარჯება უცხო ქვეყნის პოლიტიკის გავლენებსა და ქართველ ხალხთან იდეოლოგიურ მუშაობაში, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, არის თუ არა თანხვედრაში ამ ფულის მიზნობრიობა ჩვენს სახელმწიფო ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, მათ აუცილებლად მოუწევთ რეესტრში დარეგისტრირება. სხვა შემთხვევაში, თვითონ ნახავენ, თუ როგორ შეფერხდებიან და როგორ დაიცავს სახელმწიფო თავის პრინციპებს!

**- აშშ საქართველოს მთავრობისთვის 95 მილიონ დოლარზე მეტ პირდაპირ დახმარებას აჩერებს. მიზეზი კი ისევ აღნიშნული კანონია. რა პასუხი აქვს ამაზე ხელისუფლებას?**

- მას შემდეგ, რაც გამჭვირვალობის შესახებ კანონი ამუშავდა, ისევ დაიწყო ჩვენი ე. წ. საერთაშორისო მეგობრების, აშშ-ის კონგრესმენებისა და სენატორების მხრიდან შემოტევა საქართველოს ხელისუფლებაზე. სენატორმა ჯინ შაჰინმა განაცხადა, რომ ორმაგი მხარდაჭერა აქვს ამერიკიდან ამ კანონის უკან გაწვევას, როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების მხრიდან. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება კანონს უკან არ გაიწვევს! მე პირადად, მიმაჩნია, რომ ეს კანონი უფრო მკაცრი უნდა იყოს, მაგალითად ისეთი, როგორიც არის ამერიკაში, როგორიც მიიღეს საფრანგეთში, ინგლისში... საქართველო არის ახალი, ცხელი, თანამედროვე გეოპოლიტიკის ეპიცენტრში და აქედან გამომდინარე, ქვეყნის უსაფრთხოება უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული!

რაც შეეხება უცხოელ თანამშრომლებს და პარტნიორებს, რომლებიც გვევაჭრებიან, გაიხსნება თუ არა მოლაპარაკებები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ესეც წინასაარჩევნო თემაა, რომ როგორმე ქართველ ხალხს უარი ათქმევინონ „ქართული ოცნების“ არჩევაზე და დაეხმარონ ოპოზიციას ხმების მიღებაში. თუმცა მათი ეს მცდელობა უშედეგო იქნება, რადგან თვითონ ოპოზიციაც უკვე სახელისუფლებო მესიჯბოქსებზე გადაერთო. ისინი ხალხში გავიდნენ, ნახეს ხალხის განწყობები, ნახეს, რომ ხალხს არ მოსწონს უკრაინის თემა და არ უნდა ომის პოლიტიკა საქართველოში! ამ პოლიტიკის მომხრე არიან სწორედ დღევანდელი დასავლელი პოლიტიკოსები და მათი მიმდევარი ქართული ოპოზიცია. მოსახლეობის მთავარი მესიჯი კი არის მშვიდობა და ეს ოპოზიციამაც დაინახა. გარდა ამისა, ახლა ალაპარაკდა გიორგი ბარამიძე და ნიკა გვარამია იმაზე, რომ რუსეთთან უნდა ვივაჭროთ თურმე და მასთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ! მათ ახლა ასეთი მესიჯები ხმების გამო სჭირდებათ, რადგან ნახეს, რომ თავიანთ ამომრჩევლებთანაც კი პრობლემა შეექმნათ. ყველას სჭირდება მეზობლებთან დალაგებული პოლიტიკა და მოგვარებული კონფლიქტები, ვისი ამომრჩეველიც უნდა იყოს, ყველას უნდა ერთიანი საქართველოს ხილვა, უნდათ მშვიდობა, უნდათ სავაჭრო ურთიერთობები, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო... აღარაფერს ვამბობ ხმების დამატებაზე - ოპოზიცია ხმების დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგა. ამიტომ გადაერთვნენ „ქართული ოცნების“ მესიჯბოქსზე და დაიწყეს ლაპარაკი იგივე პოლიტიკითა და პროგრამით, რაზეც საქართველოს ხელისუფლება და ჩვენ, „ხალხის ძალა“ ამდენი წელია, ვსაუბრობთ! ეს კი ნიშნავს, რომ თურმე ჩვენ სწორ პოლიტიკას ვაწარმოებთ და ვართ მართალი ჩვენი ხალხის წინაშე!

**- არჩევნების წინ „ლელოს“ ცუდი რამ დაემართა, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ ხაზარაძე-ჯაფარიძის მორიგი თაღლითობა კანონიერად დაასრულა, რაც მათი პარტიის საარჩევნო შედეგებზე დადებითად ნამდვილად არ აისახება...**





- დიახ, მათი პროცესი ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, უშედეგოდ დამთავრდა, მათ წააგეს საქართველოსთან. თუკი ვინმეს დღემდე ეჭვი ეპარებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიზამიმიმართულად დაამცირა ხაზარაძე-ჯაფარიძე, მათ უკანონოდ „აახია“ ანაკლიის პორტი და გადასცა ჩინელებს - პარიზის სასამართლომ, რომელზეც ვერავინ იტყვის, რომ ვინმემ მოისყიდა, ყველა ამ ადამიანს გასცა პასუხი. მათ გამოიტანეს სამართლიანი დასკვნა, რომ თურმე საქართველოს ხელისუფლება ყოფილა მართალი და ხაზარაძე-ჯაფარიძე არამხოლოდ გაამტყუნეს, პლუს, 600 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრეს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. უმნიშვნელოვანესია არჩევნების წინ ასეთი საერთაშორისო მარცხი, რაზეც მათი იმიჯი იყო დამოკიდებული, რასაკვირველია, მათთვის გამანადგურებელია. თუკი აქამდე მცირედი შანსი მაინც ჰქონდათ, ახლა საეჭვოა, შეძლებენ თუ არა 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას. ხაზარაძე და ჯაფარიძე ხომ ბიზნესიდან პოლიტიკაში სწორედ ანაკლიის პორტის თემიდან გამომდინარე მოვიდნენ. ახლა კი ევროპამ აღიარა, რომ ისინი ყოფილან უსამართლოები! როდესაც პოლიტიკას იწყებ უსამართლობით და ცრუ ბრალდებებით, ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკა მხოლოდ მარცხისთვის იქნება განწირული.

**- პარალელურად, „ევროპული საქართველო“ ლიდერების გარეშე დარჩა... მათ რა ბედი ელით?**

- „ევროპულ საქართველოს“, ფაქტობრივად, პულსი არ ესინჯებოდა. ისინი უკვე გადასული იყვნენ შიდა დავაზე, ერთმანეთის „დაჭმაზე“, ქიშპსა და მტრობაზე. მათ არ ჰქონდათ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი, მაგრამ რაღაც პროცენტის აღების ალბათობა კი არსებობდა. როცა შიდა ბარიერის წყალობით, აკაკი ბობოხიძე მე-7 ადგილზე გავიდა, ხოლო პირველი-მეორე ადგილი ცოლ-ქმარმა, გიგა ბოკერიამ და თამარ ჩერგოლეიშვილმა გაინაწილეს, ეს არ აპატიეს მათ და პარტიიდან მოიშორეს! თუმცა, ვინც უნდა დარჩეს „ევროპულ საქართველოში“ და ვისაც უნდა შეეკედლოს ის: ძველ ნაცებს, ახალ ნაცებს, თუ ლელოს - არანაირი შანსი არა აქვთ!

დასავლეთი ურეიტინგო პოლიტიკოსებზე ფულს არ ხარჯავს. ოპოზიციასაც ძალიან შეუმცირეს დაფინანსება, სწორედ იმ მიზეზით, რომ მათ ვერ შეძლეს ხალხის აყოლიება საქართველოში და ვერ მოახდინეს რევოლუცია. ჯერ კიდევ ძველმა ნაცებმა შეიძლება აიღონ ხმათა მეტი რაოდენობა, რომლებსაც ბოკუჩავა ხელმძღვანელობს, ვიდრე „ახლებმა“ და „ლელომ“. აქედან გამომდინარე, ფულის აკუმულირებაც, ძირითადად, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხდება. თუმცა, დასავლეთის ლობისტების მიზანია, რომ ეს სამივე პოლიტიკური გუნდი როგორმე პარლამენტში შეიყვანოს.

**- რაც შეეხება „ხალხის ძალას“, როგორც ცნობილია, თქვენი პარტია ამჯერად „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ერთი საპარლამენტო სიით წარსდგება. რა შანსები აქვს სახელისუფლებო გუნდს?**

- გაზაფხულიდან მოყოლებული, ყველა რეალურად და სამართლიანად წარმოებული რეიტინგის კვლევებში ჩანს, რომ სახელისუფლებო გუნდს და, მათ შორის, „ხალხის ძალას“, საზოგადოების 60-61 პროცენტის მხარდაჭერა გვაქვს. თუმცა საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა. სექტემბრიდან კიდევ ბევრი სიახლე გვექნება და თუკი ვინმეს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა, იმედია, ისიც ხელისუფლების გუნდისკენ წამოვა.

საქართველო წინ მიდის, მიდის ეკონომიკური წინსვლისკენ და ეს შეუქცევადი პროცესია. ამჯერად რეგიონში ვარ და ვხედავ როგორ უჭირს აქაურ მოსახლეობას. ვიცი, რომ ჯერ კიდევ არის ფინანსური გაჭირვება მოსახლეობაში, არის დასაქმების პრობლემა და ვინც მუშაობს, მათი შრომითი ანაზღაურებაც საკმაოდ დაბალია. კერძო სექტორი ხშირად დასაქმებულებს ვერ სთავაზობს სათანადო სამუშაო პირობებს და ბევრი ყოფითი პრობლემაა მოსაგვარებელი, რასაც ნამდვილად ვერ შევხვდებით ევროპულ სახელმწიფოებში. მე პროფესორი ვარ და ვიტყვი, რომ, როდესაც პროფესორებს 800 ლარზე ამუშავებენ უნივერსიტეტებში, როდესაც პროფესორის შრომა, მეცნიერის შრომა არ ფასდება, ეს არის სამარცხვინო! მეცნიერს აქვს იმის ნახევარი ხელფასი, რაც სკოლის პედაგოგს. ამიტომაც, ისინი ტოვებენ უნივერსიტეტებს და მიდიან სკოლებში სამუშაოდ. ამ შემთხვევაში, ეს ადამიანები, თავიანთი ხარისხით კონკურენციას უწევენ იმ კონტინგენტს, ვისაც პედაგოგიური განათლება აქვს, ვინც რეალურად უნდა მუშაობდეს სკოლაში და ზარალდებიან ის სტუდენტებიც, ვისაც ეს პროფესორები უნდა ასწავლიდნენ. მაგრამ რა ქნან? - სხვა გზა არა აქვთ! პირადად მე 4-5 პროფესორს ვიცნობ, სერიოზულ მეცნიერებს, რომლებმაც დატოვეს უნივერსიტეტები და წავიდნენ სკოლებში პედაგოგებად, რადგან სკოლაში 1500 ლარი აქვთ ხელფასი და არც იმდენი დატვირთვა აქვთ, როგორც უნივერსიტეტში. სამეცნიერო მოღვაწეობა უდიდეს გონიერებას, ძალისხმევას და შრომას მოითხოვს და ეს შრომა შესაბამისად უნდა დაფასდეს. თუკი ქვეყანა მეცნიერების რესურსს არ იყენებს, ის ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება! ამიტომ მე მჯერა, რომ განათლების რეფორმა, რაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ დააანონსა, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება.

ასე რომ, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. იმედი მაქვს, არჩევნების დასრულების შემდეგ ყველაფერი დალაგდება და ყველას მოუწევს ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარება. ოპოზიციას გადაწყვეტილი აქვს, სააკაშვილის მოწოდება გაიზიაროს და დანებით და ჩანგლებით შეიარაღებულები გამოვიდნენ ქუჩაში ხელისუფლების დასამხობად. ბოდიში მოიხადონ, საქართველოს ხელისუფლებას აქვს იმდენი ძალა, რომ დაიცვას ქვეყნის უსაფრთხოება! საქართველოში რევოლუცია არ მოხდება, ამას არც ქართველი ხალხი და არც საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს!



**ნონა ქარქაშაძე**

# აშშ-მ სომხეთში ზღვა და ღრმაწყლოვანი პორტი აღმოაჩინა



მიხეილ სააკაშვილმა იცოდა და დღემდე იცის ფანტასტიკის სფეროდან ისეთი გარეკილი ლაქლაქი, გაცინებას ვერ მოახერხებ, პირდაღებული დარჩები. განსაკუთრებით თავდაცვით ზღუდეებთან დაკავშირებით მიყვარდა მისი დამაიმედებელი აღმოჩენები, რუსეთის ავიაციის შემოტევას სამი თვის განმავლობაში რომ გაუძლებდა, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები ყვარელთან და კიდევ, ლექსები და ფრთიან-ხატოვანი სიტყვა-თქმები. ყველა შემთხვევაში, მისი ასეთი რაკუნი სჯობდა მის გაავებულ მოწოდებას: „ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!“

არცთუ დიდი ხნის წინათ აღმოვაჩინე, რომ უგზო-უკვლოდ ფანტაზიორობასა და „განათლებაში“ ბელადს არც მისი სატელიტი ტელევიზიები და ორთოდოქსი „ნაცები“ ჩამორჩებიან, თუმცა, ამათ გეოგრაფიაც რომ არ იციან, მრავალგზის დაამტკიცეს — ყაზახეთსა და საქართველოს საზღვარი გაუვლეს; შვედეთი და შვეიცარია ერთი ჰგონიათ, ანუ სტოკჰოლმი ბერნშია, — გადარიეს ფეხბურთის ჩემპიონატის მაყურებელი — ამას მათი ფანტაზიორი ბელადიც არ იტყოდა.

ყოველთვის მაინტერესებდა, რომელ იდუმალ ზანდუკში დევს მათი „გონებაგამჭრიახობის“ საქმე — ბარონ მიუნჰაუზენის გავლენაა, თუ უწიგნურობიდან მომდინარე თვითნაბად მეზღაპრეობასთან მოგვიწია შეჯახებამ.

აი, რაში ყოფილა საქმე — აშშ-ის სენატში საერთაშორისო კომიტეტში მიმდინარე მოსმენებზე სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯეიმს ო'ბრაენმა ისეთი მრავალწახნაგოვანი იდიოტობა თქვა, რუდოლფ რასპე შურით გასივდა საიქიოში. ამერიკელი ჯეიმს მიუნჰაუზენისგან გავიგე, რომ აშშ აქტიურად მუშაობს, რის შედეგადაც, რუსეთისა და ჩინეთისთვის გვერდის ავლით, აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით ცენტრალურ აზიას ევროპულ ბაზარზე გაიყვანს, ანუ ახალი საზღვაო დერეფნის შესაქმნელად იღვწის.

რა თქმა უნდა, საქართველოსა და ჩინეთზე საუბარი არ არის. რა საჭიროა საქართველო, ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიმავალი ტვირთები სომხეთის საზღვაო პორტებიდან გაემართება ევროპისკენ.

რაო? სომხეთს ზღვა და, შესაბამისად, ნავსადგურები არ აქვს?

რადგან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამბობს, მაშასადამე, აქვს, მაგრამ არარატის მთებში გარგარის ბაღებში მალავს და შესაბამისად, თქვენ არ გსმენიათ მისი განვითარებული საზღვაო ინფრასტრუქტურის შესახებ.

რაო, ვიგონებ?

როგორ გეკადრებათ! შეუძლებელია, ასეთი რანგის ამერიკელი სახელმწიფო ფიგურის ნათქვამში ეჭვის შეტანა...

სომხური ტუფის ფილა შიდა და გარე სამშენებლო სამუშაოებისთვის, ინტერიერისა და ექსტერიერის მოსაწყობად გამოიყენება და გამოირჩევა როგორც სითბოთი, ისე სიმსუბუქით, რა იყო, ამ ქვით ვერ ააგებდნენ ხომლდებსა და საზღვაო ვაგზლებს?

ისადა, ამ ამერიკელმა მეზღაპრემ სევანის ტბა ხომ არ ნახა მურტალ „პახმელიაზე“ და ტბა ზღვა ჰგონია? რა ვიცი, ხომ არის სიმღერის ტექსტში, „შავი ზღვა თეთრად მომეჩვენება, როცა ვარ მთვრალი, როცა ვარ მთვრალი“ და იქნებ, „პახმელიაზეც“ ვრცელდება...

უაღრესად განსწავლულ-განათლებული ამერიკელი სენატორები კი ისე ისხდნენ და ლაყე კვერცხებივით უსმენდნენ ამ ტვინფანდურას მიუნჰაუზენობას. სხვა აღარაფერი დარჩენიათ, ან საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება უნდა აღიარონ, ან ელემენტარულ გეოგრაფიაში საკუთარი გაუნათლებლობა მაინც — მწირი არჩევანი აქვთ. მე კი ორივე „ვერსია“ სწორად მიმაჩნია და დასკვნას ბეჭედს ვარტყამ!

რაც შეეხება ევროპას, როგორც ჩანს, მაკრონის თქმისა არ იყოს, ვასალურ მდგომარეობაში არიან და რასაც აშშ იტყვის, იმას იმღერებენ ისინიც — ჰოდა, ელოდონ აშტრაკიდან, ვაღარშაპატიდან, ნორ-ჰაჭუნიდან და სომხეთის სხვა ნავსადგურებიდან ხმელთაშუა ზღვისკენ გიბრალტარის სრუტით მიმავალ ხომალდებს...

კორეას დასცინოდნენ, ეს რა მოიგონეს, ვითომ მზეზე კოსმოსური რაკეტა დასვეს კოსმონავტებიანადო და აშშ-მა არანაკლები დაახეთქა — სომხეთი, პორტები და ზღვაო — მფრინავი ხალიჩის ზღაპარი...

მოკლედ, აშშ-მა დაგვსაჯა ჩინეთთან ერთად თუ ჩინეთი დასაჯა საქართველოსთან ერთად, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ამ ეტაპზე ვირტუალურად მაინც დაიკმაყოფილა ეგო — კიდევ ერთხელ დაგვსაჯეს!..

საბრალო დასჯილები, რაღა გვეშველება, იქით განერვიულებულ სი ძინპინს ადევს შუბლზე ჟენშენის ფესვები და აქეთ საქართველოში ატეხილი გულის ფრიალის გამო მოვსპეთ კუნელი და დინდგელი...

ვერ გავიგე, რა უნდათ ამერიკელებს, რატომ ვერ ეტევიან საკუთარ ნახევარსფეროზე? ან ახლა რას გამოხტნენ, ანაკლიის პორტის ამბავთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებამ აუცახცახათ ბოროტი ნერვი? იმ ხაზარების ანასხლეტს რომ მოეგო, საქართველოს ბიუჯეტის მეოთხედს ააყვლეფდა ქვეყანას, მაშინ არა უშავდა, არა?

ზოგადად კი, პორტს ვინ ააშენებს ანაკლიაში, რაში ენაღვლება აშშ-ს, მას ხომ საქართველოს ეკონომიკა არ აინტერესებს, ისევე, როგორც იმ სხვა ქვეყნებისა, სადაც დემოკრატიას სისხლით ამყარებს.

დახეთ, თურმე რა აინტერესებს — ჩინეთი, უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მატარებელი ეს მრავალრიცხოვანი ქვეყანა, უამრავი სახის სავაჭრო პროდუქციას აწარმოებს და, შესაბამისად, გასაღების ბაზრები აინტერესებს მთელ პლანეტაზე. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ჩინეთს ევროპის ბაზრის დაპყრობაც უნდოდეს, რომელიც, ფაქტობრივად, საუკუნის დასაწყისიდან, მსუნაგი ევროპელი ლიდერებისა და მათი გუნდის მოღალატეობრივი ნაბიჯების შედეგად აშშ-მა ჩაიგდო ხელში. გამრჯე და შორსმჭვრეტელმა ჩინეთმა, შორი გზიდან შემოვლით, მაგრამ შეაბიჯა ევროკავშირის ბაზარზე და აშშ-ისგან განსხვავებით, მაღალხარისხიანი პროდუქცია ბევრად მისაღებ ფასებში შესთავაზა „პირველი რიგის ქვეყნებს“. ჩვენ რომ წუნდებულს ან მრავალჯერადი გამოყენების, რეალურად ერთჯერადი მოხმარების ჩინურ ნაწარმს ვიცნობთ და მასხრად ვიგდებთ, ის პროდუქცია მესამე რიგის ქვეყნებისთვის არის გათვალისწინებული...

მოკლედ რომ ვთქვათ, ტრილიონებზეა საუბარი და აშშ ევროპაში ეკონომიკური დომინანტის როლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა, რაც შემდგომში და არცთუ დაგვიანებით, სხვა სფეროებში დომინანტობის დაკარგვაში გადაიზრდება.

მაისში, ჩინეთის სატესტო ტრაილერებმა რომ გაიარეს საქართველოზე, მაშინაც ვწერდი, რაც სიმართლეა და არც მომწყინდება ჩაძიება. „შუა დერეფანი“, იგივე „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზა“ გვერდს უვლის „ჩრდილოეთის (რუსულ) დერეფანსაც“ და ტრადიციულ საზღვაო მარშრუტსაც ინდოეთის ოკეანეში. მარშრუტი ასეთია: ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრის კვეთის შემდეგ, კონტეინერები მატარებლით მიდის კასპიის ზღვის სანაპიროზე, ყაზახეთის საპორტო ქალაქ აქტაუმდე. აქტაუში ტვირთი გადაინაცვლებს ბარჟაზე და წავა ბაქოს მიმართულებით. ბაქოდან კვლავ რკინიგზით, საქართველოს ტერიტორიის გავლით მიემართება ფოთის პორტისკენ, ფოთის პორტიდან კი ზღვით მიემართება რუმინეთში, კონსტანცას პორტში, იქიდან კი ნაწილდება ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში. ტვირთის ნაწილი ბაქოდან თბილისის გავლით სარკინიგზო გზით მიემართება ყარსისკენ.

რუკას რომ დავხედოთ და ჩინეთიდან ევროპისკენ იაფ ტრანსპორტს, ანუ საზღვაო გადაზიდვების გზას გავყვეთ, აღმოჩნდება, რომ ჩინეთიდან ევროპისკენ მიმავალმა სავაჭრო გემებმა უნდა გაიარონ რამდენიმე ისეთი ქვეყანა და სრუტე, სადაც ყველგან ამერიკული სამხედრო ბაზებია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ე. წ. კოლექტიური დასავლეთისთვის ანაკლიაში კომუნისტური, შესაბამისად, არადემოკრატიული პორტი შენდება, თორემ ჩინეთისთვის ტრანსკასპიური მარშრუტი ერთ-ერთია და არა ერთადერთი, თუმცა, მზარდი გამტარობის საქართველოდან — ბათუმის, ფოთისა და ახლა უკვე ანაკლიის პორტს გაივლის და პირდაპირ ევროპაშია.

ჩემი მიგნება არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რატომღაც ყოველთვის იმ ქვეყნებშია დაულაგებელი სიმშვიდე, სადაც ჩინეთისთვის ხელსაყრელი სახმელეთო მარშრუტები გადის (რუსეთი, ირანი, კავკასია).

ჯეიმს მიუნჰაუზენის სიტყვა გაციებული არ იყო, რომ ისრაელის პრემიერის აშშ-ში ვიზიტისა და ირანში პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიის დასრულებას ირანის დედაქალაქში, საკუთარ რეზიდენციაში, ისრაელის მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმით, ალაჰთან „ჰამასის“ პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელის გამგზავრება მოჰყვა. ხარჯი-ხარჯიაო და ისრაელმა ბარემ ლიბანის დედაქალაქიც მიაყოლა. დაიღუპა „ჰესბოლას“ მეორე კაცი, ჰასან ნასრალას უფროსი მრჩეველი სამხედრო საკითხებში ფუად შუქრი (ჰაჯი მოჰსენი).

მე მხოლოდ ჩემი საქართველო მანაღვლებს და მაინტერესებს, მაგრამ საქართველოს გარშემო რაც ხდება, ის რომ განსაზღვრავს საქართველოს კეთილდღეობას, ეგ მაქვს საფიქრალი. ელემენტარულად, არ მომწონს ე. წ. დასავლეთის მიერ ფაშინიანის „წამოკიდება“, რადგან კარგად მახსოვს გასული საუკუნის დასაწყისში სომხების მიერ ჩადენილი მუხანათობა და ისიც არ მავიწყდება, რომ ჩემს სამშობლოზე მხოლოდ ერთ კაცს არ უჭირავს თვალი...

და კიდევ, მაინტერესებს, საქართველოსთან მიმართებაში რა ან ვინ არის შემაკავებელი? ცხადია, უკვე ხილულ მტრად ქცეული, მაგრამ სიტყვიერად მეგობრად დარჩენილი, ბოლომდე „თავშეკავებული“ არ არის, ვინ გაიგონა აშშ-ის თავშეკავება, მაგრამ რისი ჩამდენიც არის, იმასთან შედარებით, თავშეკავებულია...

აგერ ახლახან იყო საპრეზიდენტო არჩევნები ვენესუელაში და იქაც საცეცები აქვს აშშ-ს. სერიოზულად მაინტერესებს, ნეტავ, დედამიწაზე თუ არის ისეთი ადგილი, სადაც აშშ-ის მსტოვრები არ დაძრწიან?

რითიც დავიწყე, იმით ვამთავრებ — ამ ჩვენს უნიჭო მეზღაპრეებს ასევე უნიჭო მეზღაპრე ამერიკელი მაღალჩინოსნებისგან უსწავლიათ უფხო ზღაპრები და ამიტომაც არის, რომ თავმოჭრილი ქათმებივით აქეთ-იქით ეხეთქებიან.

შუაგულ თბილისში, ვენესუელაო, კაცო! აღარც უკრაინაზე იხოკენ ლოყებს და აღარც „ევროკავშირი“ და „ნატოო“, „ვენესუელაო“, ჯღავიან,...— გააგიჟებენ ადამიანს...

სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილშია ვენესუელა, იქიდან ნიკოლას მადურო გაიქცა და ასე გაიქცევა 26 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილიცო, — ხარობენ ეს ჩვენი ზღაპრის ხამები. ჯერ სად გაიქცა მადურო და შემდეგ, გაიქცა, თორე, ისიც ალკატრასის ციხიდან არ გაქცეულიყო, გნებავთ, აბუ-გრეიბიდან, — ეს რაც მადუროს ეხება. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, საქართველოდან გამქცევი რომ არ ჩანს და მის გაქცევაზე მეოცნებეებს აქვთ სოროში შესაძვრომად საქმე, კი ვხედავთ. გაკოტრებული „კრედიტ სუისის“ გამკოტრებლებმაც შეიგნეს ეს და მოიკვნიტეს უკან მიდევნებული ლამპარივით თითები, ამათ ვინღა ელანდებათ ხოლმე, ბაიდენმა გადმოულოცა სალაციცო ლანდები?

ვენესუელაშიც ჩვენაირად აქვთ საქმე, მოიგო არჩევნები მშვიდობისმოყვარე მადურომ და აყაყანდა იქაური ოპოზიცია, არჩევნების შედეგები გაყალბებულია, ოპოზიციამ, ედმონდო გონსალესის სახით 44% კი არა, 70% მიიღოო. ყველაზე მეტს ვინ ყვირის? მარია კორინა მაჩადო, რომელსაც უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტობაზე კენჭისყრა იმიტომ აუკრძალა, რომ აშშ-ის სანქციების მხარდამჭერია და, ამასთანავე, კორუფციულ სქემებშია ჩართული.

ამ ჩვენმა ქოსატყუილებმა ის მაინც თუ იციან, ვენესუელას რომ მხარდაჭერას უცხადებენ, ეს ის ვენესუელა არის, რომელსაც ახლო ურთიერთობები აქვს რუსეთთან, რის გამოც 2008 წელს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე. წ. დამოუკიდებლობა ცნო.

მოკლედ, კრებსითი ჯეიმს მიუნჰაუზენები და ჩვენი ქოსატყუილები ისე გადაენასკვნენ ერთმანეთს, ქრონიკული წელკავი თუ დაემართათ და ხერხემალში ველარც გასწორდნენ, თავადვე ინაღვლონ, — საქართველომ სულის გაყიდვა შეწყვიტა!

**მაია ჭელიძე**

# კანონდარღვევაა, როდესაც საარჩევნო კამპანიაში უცხო ფული მონაწილეობს



*გვესაუბრება ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე:*

**- ბატონო ზაალ, შოვის ტრაგედიიდან ერთი წელი გავიდა. ამ გადმოსახედიდან როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა შესაძლებელი, რაიმე სახის პრევენციული ღონისძიებით ტრაგედია თავიდან აგვეცილებინა, ან ნაკლები მსხვერპლი გვყოლოდა?**

- სიტუაციის თუ ბედის ირონია ის არის, რომ, მაგალითად, შვეიცარიელმა მეცნიერებმა, რომლებმაც შეისწავლეს ტრაგედიის მიზეზი და გარემოებები, დაასკვნეს, რომ სტიქიური უბედურების თავიდან არიდება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, აქეთ კი ყველასთვის ცნობილი თეა გოდოლაძე და მის ირგვლივ შემოკრებილი მეცნიერები გამოდიან და საპირისპიროს ამტკიცებენ. ანუ საზოგადოების ნაწილი, როგორც ჩანს, მიიჩნევს, რომ ტრაგედიის არიდება შეუძლებელი იყო, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს იყო შესაძლებელი. თუმცა, ფაქტი, რომ ხელისუფლება ახლა აპირებს ისეთი დამატებითი გამაფრთხილებელი სამონიტორინგო მოწყობილობების დაყენებას, რაც ადრე არ არსებობდა, მიუთითებს იმაზე, რომ ყოფილა თურმე რაღაცის გაკეთების საჭიროება. ყველაფერი ხომ შეიძლებოდა ადრეც გაკეთებულიყო! დიდი ალბათობით, ტრაგედიას თავიდან ვერ ავირიდებდით, მაგრამ გამაფრთხილებელი ღონისძიებებისა და პატარ-პატარა პრევენციული ზომების გატარების შედეგად, იქნებ, ამდენი მსხვერპლი აღარ გვყოლოდა.

მძიმე მოსასმენი და აღსაქმელია, რომ, როგორც მაშინ დააცხრნენ სვავებივით შოვის ტრაგედიას ჩვენი რადიკალები, პოლიტიკური ქულების ამოსაწოვად თუ საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებლად, ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე, სვავების იგივე შემადგენლობა ზუსტად ისევ მოქმედებს! თუმცა, გასაკვირიც არავისთვის არის, ისინი ხომ ყოველთვის ცდილობენ, ქვეყნის თუ ადამიანების პირადი ტრაგედია საზოგადოებაში საპროტესტო მუხტის ასაგორებლად და ანტისახელისუფლებო განწყობების გამოსაწვევად გამოიყენონ. ეს არის კოლექტიური ნაცმოძრაობის ხელწერა.

**- ცოტა ირონიულიც არის მგონი, რომ სწორედ ეს კოლექტიური ნაცმოძრაობა ატარებს ახლა „დემოკრატიის ფესტივალს“ და დემოკრატიის სახელით მოქმედებს...**

- რაც უნდათ, ის ჩაატარონ, მათი საქმეა, ოღონდ - თუ საკუთარი ბიუჯეტიდან, საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ფულით დააფინანსებენ. ფაქტობრივად, პირველად ხდება საქართველოს არჩევნების ისტორიაში, რომ გარკვეული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია უცხოური ფულით ფინანსდება, რაც უდავო და დადასტურებული ფაქტია. ამიტომ მათი საქციელი მხოლოდ ირონიული კი არა, დანაშაულებრივიც არის!

ხომ ამბობენ, რომ ეს ფესტივალი მოქალაქეებთან შეხვედრას და მათ ინფორმირებას ითვალისწინებს... და უკაცრავად, წინასაარჩევნო კამპანია რაღაა მაშინ?! - წინასაარჩევნო კამპანია ხომ პროცედურაა, როცა პარტიის წარმომადგენლები მიდიან მოქალაქეებთან, ესაუბრებიან მათ საარჩევნო მიზნებზე, პროგრამაზე, ამოცანებზე, აკრიტიკებენ ხელისუფლებას და ა. შ. ზუსტად იგივე ხდება ე. წ. დემოკრატიულ ფესტივალზე, რომელიც რამდენიმე ქალაქში უნდა გაიმართოს. მანამდეც გაიმართა შეხვედრები, სადაც, ასევე, მოქალაქეთა ინფორმირების საფარქვეშ მოქმედებდნენ ოპოზიციური პარტიები და ნჯო-ები. ასევე, ხათუნა ლაგაზიძის და მის ირგვლივ შემოკრებილი ხალხის მიერ იგეგმება ფართომასშტაბიანი ღონისძიება, „ევრომობილების“ ჩაყვანა რეგიონებში და აგიტაცია-პროპაგანდა! არ ვიცი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიღებენ თუ არა ამაში მონაწილეობას, მაგრამ ირიბად, ეს არის ისევ და ისევ ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართული საარჩევნო კამპანიის ხელშემწყობი ღონისძიება. „ევრომობილებით“ რომ ამდენი ქალაქის და სოფლის მოვლას და სპიკერების ჩაყვანას აპირებ, ამას ხომ ტრანსპორტირების ხარჯები სჭირდება, საწვავს, საინფორმაციო მასალების გავრცელებას ხომ ფული სჭირდება... მე არ მგონია, რომ ამ ღონისძიებების მონაწილეები საკუთარი ჯიბიდან იღებენ თანხას! დიდი ალბათობით, მათ რომელიმე დონორი ორგანიზაცია აფინანსებს, ოღონდ ისინი ამას არ ამხელენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან ეს სააშკარაოზე გამოვა!

**- ბატონო ზაალ, ბლინკენის განცხადებაში, სადაც ფინანსური დახმარების შეჩერებაზეა საუბარი, აღნიშნულია, რომ აშშ განაგრძობს სხვადასხვა აქტივობის მხარდაჭერას, რომელსაც სარგებელი მოაქვს ქართველი ხალხისთვის. ისინი არც იმას უარყოფენ, რომ ქართული ჯარისთვის განკუთვნილი ფულადი დახმარება ჩვენს ნჯო-ებსა და ე. წ. კრიტიკულ მედიაორგანიზაციებზე გადაანაწილეს...**

- მათი ფულია და ვისაც უნდათ, იმას მისცემენ, მაგრამ, როცა ეს ფული წინასაარჩევნო კამპანიას ხმარდება და რეალურად პოლიტიკურ ღონისძიებებს აფინანსებს, ეს არის პირდაპირი კანონდარღვევა. კანონდარღვევაა, როდესაც საარჩევნო კამპანიაში უცხო ქვეყნის ფული მონაწილეობს, არა აქვს მნიშვნელობა, ის ამერიკული წარმოშობის არის, ევროპული, ჩინური, რუსული თუ ირანული... ხშირად გვესმის საუბარი იმის თაობაზე, რომ რუსეთი ერევა საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში. გასაგებია თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, მაგრამ ობიქტურად ვთქვათ, რომ რუსეთის მხრიდან ერთადერთი ჩარევა, თუკი შეიძლება ასე ვუწოდოთ, იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის განცხადება, რომ დასავლეთი აპირებს საქართველოს არჩევნებში აქტიურად ჩართვას და მოყვანილი იქნა ფაქტები ამის დასადასტურებლად. ამის მეტი რუსული ჩარევის მაგალითი ჩვენ არ გვინახავს. სამაგიეროდ, უამრავი ფაქტი გვაქვს იმისა, თუ როგორ ერევა დასავლეთი ჩვენს არჩევნებში. NDI-ის, IRI-ის და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაქტობრივად, ჩასახლებული არიან ცესკო-ში და ცესკო მათ ანგარიშს აბარებს. რას ნიშნავს ეს?! - რატომ უნდა ჩააბაროს ჩვენმა საარჩევნო კომისიამ მათ ანგარიში? სხვა რომელ ქვეყანაში ხდება ასეთი რამ?

საქართველო და აშშ ორი შეუდარებლად განსხვავებული გავლენისა და მასშტაბის სახელმწიფოა. გასაგებია, რომ საქართველო აშშ-ს ვერ უკარნახებს, რა გააკეთოს და როგორ მოიქცეს. აშშ მაინც ისე მოიქცევა, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ, თუმცა, საქართველოს მხრიდან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება იმის შესახებ, თუ აშშ საქართველოს როგორ ექცევა, ალბათ აუცილებელი იყო და პრემიერ-მინისტრმაც თქვა თავისი სათქმელი.

როგორც ჩანს, აშშ-მა ამ ეტაპზე საჭიროდ ჩათვალა, რომ, სანქციებითა და დახმარებების შეჩერებით, საქართველოს ხელისუფლებას კისერზე ყულფი რაც შეიძლება მაგრად შემოუჭიროს და ამით „ქართული ოცნების“ პოზიციები არჩევნებისთვის მაქსიმალურად დაასუსტოს. ამით სურთ, ხელი შეუწყონ ოპოზიციას და მის ელექტორატს არჩევნებზე წარმატების მისაღწევად.

პრაქტიკულად, მათ ყველა განცხადებაში ერთი და იგივე ნარატივი მეორდება: ჩვენ ამ ხელისუფლებას მხარს არ დავუჭერთ იმიტომ, რომ... აქ კი ჩამოთვლილია რაღაც მიზეზები... პრინციპში, ამერიკელებიც და ევროპელებიც ერთსა და იმავეს იმეორებენ, რომ მხარს არა მთავრობას, არამედ ქართველ ხალხს უჭერენ! თუმცაღა, მათ მხედველობიდან ერთი დიდი წინააღმდეგობრივი მომენტი რჩებათ - ეს მთავრობა საიდან მოვიდა, ის ხომ ხალხმა აირჩია? საინტერესოა, მათ არ მიიჩნევენ ქართველ ხალხად? სწორედ აქაა







წინააღმდეგობა, რაც მათ მიდგომაში ვლინდება და რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს.

ამჟერად აშშ-მა ვენესუელას ოპოზიციის ლიდერი არჩევნებში გამარჯვებულად ცნო და, მას შემდეგ, რაც ბიულეტენების დამუშავებასა და შედეგების გამოცხადებაში „სერიოზული შეცდომები“ აღმოაჩინა, ქვეყნის ხელისუფლებას „ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარებისკენ“ მოუწოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამჟერად ვენესუელაში გაიტესტა ის სცენარი, რაც შესაძლოა, არჩევნების შემდეგ საქართველოში გამოიყენონ.

**- ოპოზიციაში რთული მდგომარეობაა. „ევროპული საქართველო“, ფაქტობრივად, ლიდერების გარეშე დარჩა, ხაზარაძეს გარკვეული რეპუტაციული პრობლემები შეექმნა, რაც აქამდეც არ აკლდა. ანუ, პოლიტიკურ ველზე რჩება ისევ „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. ვისი ინსტრუქციით ვითარდება ამჟერად მოვლენები, თქვენი აზრით?**

- ვერ გეტყვით, ეს უცხოეთის ინსტრუქციაა თუ რა, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთი აქტიურად ერევა ჩვენს პოლიტიკურ პროცესებში. დასავლეთი ხედავს, რომ ოპოზიციას საქართველოში ელექტორალური მხარდაჭერა არ გააჩნია - რაც გააჩნია, ეს არის ძალიან მწირი და არასაკმარისი იმისათვის, რომ მან არჩევნებში გაიმარჯვოს და მთავრობა ჩამოაყალიბოს. შესაბამისად, დასავლეთი ეძებს პოლიტიკურ ძალას საქართველოში, ვისაც შეუძლია დაეყრდნოს და, აქედან გამომდინარე, ძალისხმევას არ იშურებს მათ გასამარჯვებლად.

„ევროპული საქართველო“, ფაქტობრივად, დაშლის პირას არის. ის ფაქტი, რომ „ლელომ“ საარბიტრაჟო დავა წააგო, რა თქმა უნდა, პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ აუცილებლად აისახება „ლელოს“ პარტიის ლიდერების რეპუტაციასა და პოლიტიკურ იმიჯზე. გარდა ამისა, ყველამ იცის, რას წარმოადგენს ხოშტარია-ჯაფარიძის და გვარამია-მელიას გაერთიანება. „ნაციონალურ მოძრაობაზე“ კი ლაპარაკიც ზედმეტია! შეიძლება ახალგაზრდებს არ ახსოვთ სააკაშვილის რეჟიმი, ან ვინმეს რიგი მიზეზების გამო იმედი გაუცრუა „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება არც ერთ მათგანს არ უნდა. მე ვფიქრობ, იმ ადამიანების უმრავლესობა, ვისაც დღემდე ვერ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა, მაინც „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს ან, უბრალოდ, არ წავა არჩევნებზე.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე გაიზრდება არჩევნებში მონაწილე მსხვილი პარტიების მომსახურე პიარ-კომპანიების, თუ ინდივიდუალური პიარ-კონსულტანტების რაოდენობა, მათ შორის - უცხოელების. მე მაინტერესებს, არის თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური კანონი, რომელიც მათ საქმიანობას არეგულირებს და მოქმედებენ თუ არა ისინი არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში?!



ნონა ქარქაშაძე

# ანაკლიის პორტის აშენება გლობალური ინტერესების კვეთაზეა



*გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ-ის პროფესორი იური პაპასქუა:*

(დასასრული. დასაწყისი იხ. სგ. N27)

**— როგორც ამბობენ, ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთი პორტის მშენებლობისას პრობლემებს ვერ შეუქმნის. დასავლეთი თავად ვაჭრობს ჩინეთთან, თუმცა ჩვენ პორტის მშენებლობას გვიშლის. რით არის ეს განპირობებული?**

— დიახ, ჩინეთი ის ქვეყანა არ არის, რომელსაც სხვა რომელიმე ქვეყანა პრობლემას შეუქმნის. სწორედ ამითაც არის მასთან პარტნიორობა მნიშვნელოვანი. დიახ, დასავლეთი ჩინეთთან ვაჭრობს და აქტიურ ურთიერთობაშია. 2024 წელს ევროკავშირს ჩინეთთან 800- მილიარდიანი ბრუნვა ჰქონდა. ამერიკაში ჩინური პროდუქცია წარმატებით იყიდება. ამ ფონზე „გასაკვირია“, ჩინეთთან ურთიერთობას ჩვენ რომ გვიზღუდავენ. და მაინც, უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთის პოზიცია ჩინეთთან ვაჭრობასა და ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ესენია: გეოპოლიტიკური ინტერესები — დასავლეთი, განსაკუთრებით აშშ, ცდილობს, სტრატეგიულ რეგიონებში ჩინეთის გავლენა შეამციროს, მათ შორის, კავკასიაში. ანაკლიის პორტი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელშიც ჩინეთის მონაწილეობა, ცხადია, გააძლიერებს პეკინის გავლენას საქართველოში და მთელ რეგიონში, რაც დასავლეთის ინტერესებში არ შედის; უსაფრთხოებაზე შეშფოთება — დასავლეთი შიშობს, რომ ჩინეთის კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ საფრთხეებს შეიცავს, რაც ინტელექტუალური საკუთრების, მონაცემთა უსაფრთხოებისა და სამხედრო გამოყენების რისკებში გამოიხატება; ეკონომიკური პოლიტიკა — მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ჩინეთთან ვაჭრობს, ეს ვაჭრობა ხშირად მკაცრად რეგულირებული და კონტროლირებულია. დასავლური ქვეყნები ცდილობენ, ჩინეთის კომპანიების სტრატეგიული აქტივების ფლობა თავიანთ ტერიტორიებზე მინიმუმამდე დაიყვანონ. ეს პოლიტიკა მიზნად ეროვნულ უსაფრთხოებასა და სტრატეგიული ინფრასტრუქტურის დაცვას ისახავს; დიპლომატიური ურთიერთობები — დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, საქართველოსთან და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობები შეინარჩუნონ და გააძლიერონ. ჩინეთის მონაწილეობა ანაკლიის პორტის პროექტში შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს დასავლეთისგან მოშორების ნაბიჯი, რაც დიპლომატიური ურთიერთობებისა და სტრატეგიული პარტნიორობის გაუარესებას გამოიწვევს.

ეს ფაქტორები ანგარიშგასაწევია და დასავლეთის „შეშფოთება“ სულაც არ არის გასაკვირი.

**— თავად თქვენ რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური კონსორციუმის მონაწილეობა?**

— პირდაპირ ვიტყვი: ეს არის დამაბალანსებელი, სწორი გადაწყვეტილება. ცხადია, ვნებათა ღელვა იქნება, ცალკეული გართულებაც, მაგრამ გადაივლის ისევე, როგორც ეს პირეოსის პორტის საქმიანობის დალაგებაში ჩინეთის მონაწილეობის გამო იყო.

ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელი ის იქნებოდა, რომ პორტის მშენებლობა **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“** გაეგრძელებინა. თავის დროზე ხაზარაძე-ჯაფარიძის გუნდისთვის ღრმაწყლოვანი პორტის აშენების მინდობა უკვე წარუმატებლობის ტოლფასი იყო და ისინი ამ პორტს ვერც აააშენებდნენ - მათ ვერ შეძლეს ინვესტიციების მოზიდვა, პარტნიორებთან ურთიერთობის დალაგება, ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება, თუმცა კონსორციუმი ამას უტიფრად უარყოფდა, პროექტის ჩავარდნაში ბრალს მთავრობას სდებდა, ჩიოდა და საქრთველოსგან კომპესაციის სახით 1,5 მილიარდ დოლარს ითხოვდა. რომც გასვლოდა ამ გუნდს წამლეტური ჩანაფიქრი, ანაკლიის პორტი მათ ხელში საქართველოს ინტერესებისთვის ვერ მოიცლიდა.

სავსებით სამართლიანი იყო, რომ საქართველოს მთავრობამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ პორტის მშენებლობის საინვესტიციო ხელშეკრულება გაწყვიტა. ეს რომ ასეა, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ დაადასტურა კიდეც - „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ სარჩელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა.

ჩემი სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად, ჩინური კონსორციუმის მონაწილეობა ანაკლიის პორტის მშენებლობაში, როგორც ნებისმიერ სხვა სტრატეგიულ პროექტში, მრავალმხრივ შეფასებას მოითხოვს. ამ საკითხის მართებულობის განხილვისას რამდენიმე დადებითი და უარყოფით ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ. მათ შორის, დადებითად უნდა ჩაითვალოს: ფინანსური შესაძლებლობები — ჩინური კონსორციუმი დიდი ფინანსური რესურსებით არის აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს პროექტის დაფინანსებას და მის დროულად შესრულებას. ტექნოლოგიური გამოცდილება — ჩინური კომპანიები წარმატებით ახორციელებენ დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მთელ მსოფლიოში, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება; გეოპოლიტიკური პოზიციონირება — ჩინეთის მონაწილეობამ პროექტში შეიძლება გააძლიეროს საქართველოს პოზიციები ევრაზიის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ქსელებში. უარყოფით ფაქტორებს კი შეიძლება მივაკუთვნოთ უსაფრთხოების რისკები — ჩინური კომპანიები ხშირად ექვემდებარებიან კრიტიკას უსაფრთხოების საკითხების გამო. ეს შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა დაცვისა და ტექნოლოგიური უსაფრთხოების რისკებს; გეოპოლიტიკური დაძაბულობა — ჩინური კონსორციუმის მონაწილეობამ შეიძლება გააღრმავოს დაძაბულობა დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სთან, რაც უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე; „სესხის ხაფანგი“ — გამორიცხული არ არის, რომ ჩინური კონსორციუმის მიერ მოწოდებულმა სესხებმა და ფინანსურმა რესურსებმა „სესხის ხაფანგი“ შექმნას, სადაც საქართველო შეიძლება დამოკიდებული



გახდეს ჩინეთზე და გარკვეული სტრატეგიული დამოუკიდებლობა დაკარგოს.

სავარაუდოდ, პროექტის განხორციელებას არ შეექმნება საფრთხე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორი და სათანადო კონტროლი განხორციელდება. თუ ეს პირობები დაკმაყოფილდება, ჩინური კონსორციუმის ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობა საქართველოსთვის წარმატებული და სარგებლის მომტანი იქნება.

**— ოპონენტების აზრით, ჩვენ მყარი ეკონომიკა არ გვაქვს. ამიტომ, თუ გვინდა, შავი ზღვა ჩვენი სიმდიდრის, უსაფრთხოების გასაღები იყოს, შეუძლებელია, შავი ზღვის პერსპექტივა რუსეთს ან ჩინეთს დავუტოვოთ. როგორია თქვენი თვალთახედვა ამ საკითხზე?**

— შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსთვის დიდია და მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების პერსპექტივები მართლაც მჭიდრო კავშირშია რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ძალების გავლენასთან. ჩემი თვალთახედვა ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების ასპექტებსა და სტრატეგიულ პოლიტიკას ეყრდნობა. დიდი გონებრივი გახსნილობა არ არის საჭირო, რომ მიხვდე: მყარი ეკონომიკა მრავალფეროვან პარტნიორებს და დივერსიფიცირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს საჭიროებს. მხოლოდ ერთ ან ორ ქვეყანაზე დამოკიდებულება, როგორიცაა რუსეთი ან ჩინეთი, რისკებს ზრდის. ჩინეთთან კავშირი ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას და მის ზრდას; აუცილებელია შავი ზღვის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, რათა საქართველო საერთაშორისო სავაჭრო ჰაბი გახდეს. ამ კუთხით დასავლეთის ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციები ასევე სასარგებლო იქნება; რუსეთსა და ჩინეთს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გავლენა აქვთ შავი ზღვის რეგიონში. ამიტომ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ არ გადავიდეს ერთპიროვნული დამოკიდებულება რომელიმე მათგანზე. გეოპოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ რეგიონული კონფლიქტები და განვამტკიცოთ უსაფრთხოება; ამასთან, დასავლეთის ქვეყნები და ნატო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამიტომ საქართველოსთვის ასევე გარდაუვალია, განაგრძოს თანამშრომლობა დასავლეთის ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რათა გაზარდოს თავისი უსაფრთხოება და საერთაშორისო მხარდაჭერა; შავი ზღვის რეგიონის განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, როგორებიცაა პორტები, ტრანსპორტი და ენერგეტიკა. ამ პროექტებში როგორც დასავლეთის, ასევე სხვა ქვეყნების მონაწილეობას შეუძლია, დადებითად იმოქმედოს ბალანსის შენარჩუნებაზე; შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა, მათ შორის, თურქეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და უკრაინასთან, ასევე მნიშვნელოვანია. ეს თანამშრომლობა ზრდის რეგიონის სტაბილურობასა და ეკონომიკურ განვითარებას.

ამიტომაც მაქვს განცდა, რომ საქართველოსთვის შავი ზღვის პერსპექტივის გამოყენება მხოლოდ რუსეთის ან ჩინეთის გავლენის ქვეშ, არ არის სასურველი. მრავალმხრივი და ბალანსირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს დასავლეთთან და რეგიონულ პარტნიორებთან თანამშრომლობას, არის საუკეთესო გზა საქართველოს ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას, გეოპოლიტიკურ ბალანსს და რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებას.

**— ოპონენტები გვიმტკიცებენ, რომ მხოლოდ ჩინური ინვესტიცია თუ შემოვა, ასე ჩვენ დავკარგავთ უსაფრთხოების, ეკონომიკური ვაჭრობის შესაძლებლობას. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?**

— უცხოურ ინვესტიციებზე განსხვავებული წარმოდგენა მაქვს და ის ქვეყნის ხსნა-გადარჩენის უალტერნატივო რესურსად არ მიმაჩნია. მოცემულ ვითარებაში ამ საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ ჩინეთი გაიღებს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, შემოიტანს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ცოდნას, მოხდება სხვა პროექტების დაფინანსებაც, საქართველოში ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ინოვაციების განვითარება. მაგრამ ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება, შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფორმაციული და ტექნო-

13 გვ. →

# სჯობს, ამერიკამ საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობას მიხედოს!



*გვესაუბრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*
*მაია ნიკოლეიშვილი:*

## ქართველი ხალხის მტერი თუ მეგობარი

საქართველოში კელი დეგნანის ელჩობის ხანაში, ამერიკას მაზრჩობელა მეგობარს ვეძახდი. დღეს პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოს, ჩვენი ხელისუფლების მეგობარი არ არის. დიახ, ამერიკის ხელმძღვანელობა ქართველი ხალხის მეგობარი აღარ არის, ის ჩვენი ხელისუფლების ნომერ პირველი მტერია. ბაიდენი ჩვენი მეგობარი არც არასდროს ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანების წამება, უფლებების დარღვევა, მისთვის არაფერს ნიშნავდა. მეგობარი ამ უმსგავსობას არ დაუშვებდა და დემოკრატიის უკუსვლაზე სწორედ მაშინ გაამახვილებდა ყურადღებას, როცა სააკაშვილის რეჟიმი თვალში ნაცარს გვაყრიდა და თავის ნებაზე იყო მიშვებული. ამერიკა კი ამ ყველაფერს ხელს უწყობდა. საქართველოსთან მეგობრობა მის გეგმებში არასდროს შედიოდა. მიშას რეჟიმს ხელს უწყობდნენ, ამ ხელისუფლებას კი, რომლის დროსაც ქართველმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა, პირიქით, ავიწროვებენ.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ამერიკის მეგობრობა არასდროს მიგრძვნია. ის, რაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს დაემართა, სწორედ მისი პროვოცირებული იყო, რადგან გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ წავიდა. მეორეც, მეგობრობის შემთხვევაში, აშშ ჩვენთან იმ შიდა კონფლიქტების პროვოცირებას არ მოახდენდა, რამაც საქართველო გახლიჩა. ეს რომ სწორედ მათი პროვოცირებული იყო, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მოვა დრო და ეს ყველგან დაიწერება — შიდა კონფლიქტები ისე, როგორც 2008 წლის ომი, აშშ-ის პროვოცირებული იყო. კი ბატონო, რუსეთი ჩვენი ქვეყნის ოკუპანტია, მაგრამ პროვოცირება მოხდა არა მისგან, არამედ აშშ-იდან. უბრალოდ, ამას საქართველო არ აღიარებს. სანამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა: როგორ და რატომ შევიდა აფხაზეთში აქაური შეიარაღებული ძალები; მერე, განმეორებით, სამაჩაბლოში; რისთვის შეიქმნა პროექტი „კოკოითი ფანდარასტ“; 2008 წელს რატომ მოხდა ომის პროვოცირება და რისი იმედი ჰქონდა სააკაშვილს, მანამდე მტერ-მოყვარეს ერთმანეთისგან ვერ გავარჩევთ და ყოველთვის „იმუშავებს“ ის ავადმყოფური ფობია, რაც ახალგაზრდობას ტვინში იმპლანტივით ჩაუდეს. სძულთ — არ იციან, რატომ, არ იცნობენ, მაგრამ სძულთ... ქუჩაში ახალგაზრდა ნაცნობი შემხვდა, რომელიც მიმტკიცებდა, ივანიშვილი ბოროტიაო. როცა ადამიანს ბოროტს უწოდებ, მინიმუმ ხომ უნდა იცნობდე. ახალგაზრდებს, ჩიპების მსგავსად, მანიპულაციებით ჩაუდეს, რომ ვიღაც ბოროტია და ვერ გეუბნება, რატომ. როგორც კანონი არის რუსული და შინაარსში არ შედიან. ეს ახალგაზრდაც მანიპულაციის მსხვერპლი იყო.

გაიძახიან, რუსეთი ცუდიაო. გასაგებია, ის ოკუპანტია, მაგრამ მოდი, გავიხსენოთ სამხრეთ საქართველო — სად არის ახლა მისი დიდი ნაწილი, რა ენაზე საუბრობს მოსახლეობა იქ, რა რელიგია აქვთ?! ეს ხომ სულ ახლახან მოხდა, მაგრამ თურქებთან მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს. ანუ რა ხდება? — მხოლოდ ახლით ვსაზღვრავთ და ძველი მეხსიერებით თურქეთი მეგობარია?! ავიღოთ თუნდაც ერგნეთის ბაზრობა, რომელიც საზოგადოებების ერთმანეთთან ურთიერთობის წინაპირობა იყო. მის ჩაშლაში ოქრუაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. ეს ხომ შეგნებულად, ორივეს საზიანოდ მოხდა ასე?! ჩვენ ვამბობთ, რომ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსები ჩვენი ძმები არიან. ასევე, აფხაზებს ძმებად მოვიხსენიებთ. კი მაგრამ, რით ან როდის დავუმტკიცეთ აფხაზებს ძმობა?! ძმობამდე უნდა მიხვიდე. აა, წარსულით ვსაზღვრავთ?! მაშინ რუსებიც ხომ ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენს წინაპრებთან ერთად პურს ტეხდნენ და იბრძოდნენ. მაშინ რატომ აღარ არიან ისინი ძმები?! მოკლე თვალთახედვის ბრალია, როცა თურქებს პარტნიორებს ვუწოდებთ, მაშინ იგივე ქმედებისთვის რუსს მტრად რატომ აცხადებ?!

## დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდი გასვლია მართალი?!

ამერიკასთან „მეგობრობას“ დავუბრუნდეთ. მას სამხრეთ კავკასიაში ყოველთვის საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, რასაც ატარებდა კიდეც. ამერიკამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით მაშინ არსებული ხელისუფლებების გამოყენება, საზოგადოების დაბნევა შეძლო, რითაც რუსეთის გარშემო ცეცხლოვანი რკალი შექმნა. გავიდა წლები და სახეზე კვლავ ცხელი ომია. ამერიკას სურდა, მოკავშირე რესპუბლიკები მტრად გადაექცია და ისინი ერთმანეთთან ცხელი ომით დაეკავშირებინა, მაგრამ საინტერესო რამ მოხდა: ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა ეს სატყუარა აღარ ჭამეს. მეორე ფრონტის გახსნას გვიკიჟინებდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ეს მოწოდება, პირველი პროვოცირება ცხელ ომში შესვლაზე, ფიზიკოსმა გია დვალმა გააჟღერა, რასაც მოჰყვა: აფხაზეთში ხომ არ გაგვესეირნა და სხვა მსგავსი შეძახილები. აი, ამ რეალობის წინაშე ვართ.

ასე რომ, ამერიკამ ჩვენთან უკუსვლას კი არა, საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობას მიხედოს. თუნდაც აშშ-ში ფოსტით ჩატარებული არჩევნები გავიხსენოთ. ამის მერე ვინ გვესაუბრება სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე?! სხვას რომ თავი დავანებოთ, ტრამპს ესროლეს! ჩვენთან არაფორმალურ მმართველობაზე ლაპარაკობენ და, ამ დროს, თავიანთ თავს რა ხდება, ვერ იაზრებენ. კადრებს ვუყურე აშშ-მა და რუსეთმა, პრაქტიკულად, სპეცსამსახურის თანამშრომლები რომ გაცვალეს. თვითმფრინავს, რომელმაც ამერიკელი სპეცსამსახურების თანამშრომლები აშშ-ში ჩაიყვანა, ბაიდენი და ჰარისი დახვდნენ. საცოდავმა ბაიდენმა ტრაპი რომ დაინახა, ავიდა და თვითმფრინავში ჩაჯდა. მერე გამოიყვანეს და ყველას თვითმფრინავის ტრაპიდან მიესალმა.

ამ ფონზე დგანან და წარამარა საქართველოს ტუქსავენ. რუსეთს ვერაფერს უხერხებენ და უკვე სანქციების მოხსნაზე ფიქრი დაიწყეს, აქ კი კუნთებს ათამაშებენ. ეს არის სამართლიანი ქვეყანა?!

## რა მიზნით ხდება სომხეთის შეიარაღება?

საქართველოს 95 მილიონი დოლარის დახმარება შეუჩერეს და 59 მილიონი დოლარი სომხეთს მისცეს. ჩვენთან წვრთნები გააუქმეს და სომხეთში ჩაატარეს. ევროპას რაც შეეხება, საქართველოს 30 მილიონი დოლარის დახმარება შეუჩერა და 10 მილიონი დოლარი სომხეთს მისცა. რახანია, ჩვენ იარაღი არ შეგვიძენია. ამ დროს საფრანგეთმა სომხეთისთვის იარაღის შეძენა დააფინანსა. რატომ აიარაღებენ სომხეთს?! საფრანგეთშიც და ამერიკაშიც სომხური ლობი ძალიან ძლიერია. სომხეთში ანტისახელისუფლებო აქცია რომ ჩატარდა, დასავლეთმა აქციის მონაწილეები დაადანაშაულა, რამდენს ბედავთო. დაახლოებით იმ პერიოდში აქციები თბილისშიც მიმდინარეობდა და მაშინ ხელისუფლება დაადანაშაულეს, მომიტინგეებს თავზე ხელს რატომ არ უსვამთ, აცადეთ, დაგამხოთო. დასავლეთის დამოკიდებულება სომხეთისა და საქართველოს მიმართ თვალსაჩინოა. იქ რაც კარგია, აქ იგივე — ცუდია. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ სომხეთი „ო-დე-კა-ბე“-ს წევრია. ჯერ იყო, მოლდოვასა და უკრაინაზე ვიყავით აკიდებული სამეულში. ამ ქვეყნებთან საქართველოს საერთო არასდროს არაფერი ჰქონია. მოლდოვა, რომელიც თურმე დემოკრატიული ქვეყანაა და მოლაპარაკებები გაუხსნეს, დსთ-ის წევრია. დავფიქრდეთ ქართველები, რა ხდება ჩვენს თავს. ამიტომ ის ინპლანტი, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ცოტა უნდა შევარყიოთ. ჩვენ თუ რუსეთისთვის ქვების სროლა გავაგრძელეთ, რამდენიმე წელიწადში სულ სხვა ენაზე ვილაპარაკებთ და სხვა სარწმუნოება გვექნება.



## რუსეთის დანაწევრების დამსხვრეული გეგმა და დამთბარი დასავლეთი

ორი-სამი კვირის წინ, მას მერე, რაც ტრამპს ესროლეს, სულ სხვა მოცემულობის წინაშე აღმოვჩნდით. დემოკრატებმა იგივე ბალანსი დატოვეს და ბაიდენის შემცვლელად კამალა ჰარისი წარადგინეს. ანუ, არაფორმალური მმართველები შეთანხმდნენ, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს. სწორედ ამ დროს ირევა კარტები — სახეზეა რუსეთთან ამერიკის ურთიერთობების სერიოზული ცვლილება. სპეცსამსახურების თანამშრომლების გაცვლაც დათბობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია. მეორეც, საყურადღებოა, რომ ოსტინი რუსეთის თავდაცვის მინისტრს ბელოუსოვს ესაუბრა, რასაც ტყვეების გაცვლა მოჰყვა. ახლა დასავლეთს რუსეთისთვის სანქციების მოხსნა სჭირდება, რადგან მან ბაზარი დაკარგა და დოლარს შავი დღე ელის. თვალი ხომ უნდა გავახილოთ. ჩვენ კიდევ რუსეთს ვმტრობთ? დასავლეთმა დათმო, ვერ მოერია, თუ ვინმეს ჰგონია, რომ აშშ-ს რუსეთი შეუყვარდა?! ამერიკას რუსეთის დანაწევრების რუკა ჰქონდა შედგენილი, ეკონომიკურად უნდა გაენადგურებინა და მის სიმდიდრეებს დაპატრონებოდა. პროცენტულად ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი რესურსები რუსეთშია. დასავლეთს გეგმა ჩაეფუშა და რუსეთთან ურთიერთობების დათბობაზე გადავიდა. ხომ უნდა მივხვდეთ, რომ რაღაცები რადიკალურად იცვლება. თუ არ გამოვფხიზლდით და სწრაფი ნაბიჯები არ გადავდგით, შესაძლოა, რთულ ვითარებაში აღმოვჩნდეთ.

## იძირება გემი, მაგრამ...

ღმერთმა ნუ ქნას, აქ შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყოს, თორემ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი — ჩინეთი, რომელსაც ძალიან ვაფასებ, ჯარით არ დაგვეხმარება, ეს გამორიცხულია. მხოლოდ ახლო სამეზობლოს შეუძლია, ისე ჩაერიოს, რომ მოსახლეობა, სახელმწიფო დაიცვას. საკმაოდ მუქი სურათი დავხატე, მაგრამ ჩემი ხედვა ასეთია. რასაც ახლა ვხედავ, ეს სურათი აივაზოვსკის ნახატებს მაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ არცერთი გემი ჩაძირული არ არის, უბრალოდ, საფრთხეშია. პროცესები მკვეთრად ვითარდება, სასწრაფოდ საჭირო ნაბიჯებია გადასადგმელი.

აქვე გეტყვით, რომ ძალიან შემაშფოთა ივანიშვილზე გავრცელებულმა ინფორმაციამ კოვიდით დაავადების შესახებ, როცა, თითქოს, ამჟამად კოვიდი ფართოდ გავრცელებული არ არის. თან, ეს პერიოდი მის საჯარო გამოსვლას ემთხვევა. გართულდა დაავადებაო, რომ თქვეს, ძალიან შევშფოთდი. მით უმეტეს, როცა მუქარები ჟღერდება, ჩემი სპეციალობის ადამიანი მშვიდად ვერ იქნება. მით უფრო, როცა ივანიშვილისთვის ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის გამო სუს-მა გამოძიება დაიწყო. ქვეყანაში არეულობის შემოტანის საფრთხე სულ არსებობს. ითქვა ისიც, რომ კვალი უკრაინაში „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებისკენ მიდის. მათ რევანშის სურვილი აქვთ. ნაცებს ჩვენს ყოფილ მეგობრებში, რიგ ანგლოსაქსურ წრეებში მხარდამჭერები ჰყავთ. ამიტომ შემოგვთავაზეს კოაბიტაციაც. სახელმწიფო სამსახურები ახლაც ნაცებით არის გაძეძგილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მიშას დროს არაერთი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ დასავლეთი თვალს ხუჭავდა. ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, რისი მომსწრე აღარ ვარ, მაგრამ სააკაშვილის დროს ამან სისტემური ხასიათი მიიღო. ჩემი აზრით, სუს-ს გამოძიება აქამდეც უნდა დაეწყო. თემურ ალასანია, რომელმაც თქვა: მკვლელს დავიქირავებ, მილიონს გადავუხდიო, გაუშვეს, რაც შეცდომა იყო. ალბათ, ისევ დასავლეთი ჩაერია. იმედია, გამოძიება პროფილაქტიკური, პრევენციული ხასიათის არ იქნება. საზოგადოება საქმის ბოლომდე მიყვანას, ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევას ითხოვს.

13 გვ. →




# „ედისონ რისერჩი": ოპოზიცია თუ არ გაერთიანდა დედა კი არა, დედინაცვალიც არ ეყოლება!

სრულებით არ მაინტერესებს სოციოლოგიური კვლევების რომელი უსაქმური ინსტიტუტი თუ სააგენტო ჩაატარებს სოციოლოგიურ კვლევებს, მაგრამ ისეთ რამეებს მოვკარი თვალი, გულმა არ მომითმინა და ხელი თავისით გამექცა თქვენთვის საამბობად.

ქალბატონი ელენე თევდორაძეს დავესესხები უკვდავ ფრაზას და ვიტყვი: გამომკვლევებულებმა ყოველმხრივ გამოკვლევებულების კვლევა წამოიწყეს და პირსკატანაცემებმა ისღა დაასკვნეს, რომ თუ ოპოზიცია არ გაერთიანდა, დედა კი არა, დედინაცვალიც აღარ ეყოლებათ.

ნათქვამი რომ არის, იმედი ბოლოს კვდებაო, ან წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ახლა დავრწმუნდი, რომ საფუძვლიანი სიტყვა-თქმები ყოფილა. როგორც ჩანს, ოპოზიციად სახელდებული საქართველოს წურბელების ხელისუფლებაში დაბრუნების შანსები ნამდვილად სავალალოა. „დიდ მკვლევართაგანი" საქვეყნოდ ამბობს, რომ ალაგ-ალაგ გამსხვილებით ხეირი ვერ იქნება, ერთი დიდი და მაგარი გამსხვილებაა საჭირო, რადგან თუ ცალ-ცალკე იქნებიან, ძალიან გაუჭირდებათ ოპოზიციურ პარტიებს. მაგალითად, ელისაშვილის „ლელოსთან" შეერთებით ეს გაერთიანება გამხდარა თვითკმარი, რომელსაც არათუ ბარიერის გადალახვის, არამედ ბევრად უფრო სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია — კლინიკა!

დიდმკვლევართაგანი ამუნათებს ამ წყალწაღებულებს, „უდიდესი შანსია, რომ „ქართული ოცნება" გახდეს უმცირესობაში მყოფი პარტია, მაგრამ ეს დამოკიდებულია ორ ფაქტზე: გაერთიანდება თუ არა ოპოზიციური ფლანგი და იმუშავებენ თუ არა ყოველდღე ამომრჩეველთან. მესამე ფაქტორი კიდევ ისაა — რომ ხვდებიან ამომრჩეველს, უსმენენ? პასუხობენ? თავის გეგმებს უჩვენებენ, როგორ გააუმჯობესებენ ქვეყანას?" — და ე ბიჯო, გაერთიანდით რამენაირადო.

ვაჰ, ეს რა მოურჩენელი გვჭირს!

„ედისონ რისერჩია" თუ კოპლებიანი ყვაჭიჭა, არ ვიცი მე! ქალს ორი, სამი და ბევრი ვერ დაუთვლია და პროცენტებს ითვლის! შვილო, ჯერ ქართულად დაირქვი სახელი და მერე იკვლიე მრავალგზის გამოკვლეული და ხელისგულზე გათხლაშული!

რა „რისერჩი" აუტყდათ, რას მინაგვიანებენ ბარბარიზმებით ქართულს, ასე როდის „წაიღეს ინგლისებში, რომ კარტული სულ დაავიწყდათ?" რა „პრაისი" გადაუხადეს, იმ გამოკვლებულებმა ეს საოხუნჯო შედეგები რომ დადეს, „დისქაუნთი" თუ „სეილი" იყო?

კარგი, გავარკვიეთ, რომ „რისერჩი-რესერჩი" ქართულად „კვლევაა", მაგრამ „ედისონი" ვიჯერ სად ხართ! ამათ ერთი პროცენტით ჩამორჩებიან მამუკა ხაზარაძე და ბიძინა ივანიშვილი 36-64%-ით, ხოლო ირაკლი კობახიძე 35-65%-ით მათ უკან მოჩანჩალებს....

ხომ არაფერია, შეკვეთილი კვლევაა, მაგრამ ისე კარგად გავერთე, პირდაპირ ჩავაბულბულე. დასიცხული უჟმურ ხასიათზე ვიყავი, მაგრამ გავმხიარულდი, — სიცილმა სხეულის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურასთან გამითანაბრა და სიცხე გამინელა.

ჯერ ეს არ მქონდა მონელებული და №2 მოცემულობა შემომეფეთა. კახა კალაძე, ნიკა გვარამია და შალვა ნათელაშვილი ერთ პოზიციაზე გამოუდიათ 40-60%-ით. თქმა რომ იციან კულტურულად, სად ერეკლე, სად ჩემი ყურებიანი ქუდიო, — აგე, „ედისონას ბუტკაშია" ერეკლეც და ყურებიანი ქუდებიც!

მათ 1%-ით ჩამორჩებიან ჩახდილი და ჩაუხდელი „პატრიოტები". ამ დროს სიცილი შემიჩერდა, „ედისონას ბუტკისთვის" კვლევების შეკვეთის არსში ჩაწვდომის ინტერესი გამიჩნდა, მაგრამ გადავიფიქრე. ამათ ამ პროცენტულ ოხუნჯობაში კაი ფული აქვთ აღებული და მე რა მრჯის, რომ სერიოზულად გავისარჯო-დავიხარჯო, ღაა ან რაღაა? „იმათთან" თუ დანაგვიანებული ქართულით მეტყველება ვინმეზე „აღმატებულებაა", „ჩემთან/ჩვენთან", არამშობლიურ ენაზე ცალკეული სიტყვების რახუნი ძალზე მდაბიური გამოვლინებაა...

ეგრე იცის ყველაფერი მშობლიურის გვერდზე მიგდებამ და უცხოურზე მიტმასვნამ. აბა, ჭკუათამყოფელი მკვლევარი ორგანიზაცია იმ პროცენტებს დადებდა, რაც №1 მოცემულობაშია? ჯერ კარგად დავაკვირდი, ხომ არ მეჩვენება-მეთქი და ჩემი თეთრი გედის ფრთის მელანში ამოვლება მერეღა დავიწყე...

ვაჰმეეე! ალეკო ელისაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ასე ტყუპებივით როგორ დაასჩუქრეს მოწონება/არ მოწონებაში — 37-63%? გაერთობი, აბა, რას იზამ...

იოხუნჯონ და იყვნენ! მეც ვიოხუნჯებ, დავრჩებით ყველანი ნაოხუნჯარები და იმ სიმღერისა არ იყოს, „საიქიოს ერთად წავალთ ფულიანიც და უფულოც, ვაი!" 26 ოქტომბერს მაინც ერთად მივალთ ორივე მხარე ერთ საარჩევნო ყუთთან...

დასერიოზულებულმა, მაგრამ ერთგვარად დასევდიანებულმა განვაგრძე კვლევების დათვალიერება. სამჯერ დავაჭყიტე თვალები და კიდევ მეჭყიტინებოდა, მაგრამ შემეშინდა, მასე არ დავრჩე ზოგიერთებივით-მეთქი და თვალის ბუდეები პლასტირით დავიფიქსირე — 63-37%-ით წარმომიდგნენ სალომე ზურაბიშვილი და გიორგი მარგველაშვილი (იხილეთ მოცემულობა №3).

მაშასადამე, სალომე ზურაბიშვილი გამოკითხულთა 63%-ს მოსწონს, ხოლო ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ 36%-ს; ზურაბიშვილი სულ რაღაც 37%-ს არ მოსწონს, ივანიშვილი კი — 64%-ს...




ოპოზიციასაც ვერ ავუარე გვერდი, კოტიკოს თინასა და ჭიჭეს 41%-ს, – რა იყო, დასცინეს? ამათ ასე თუ ისე, თვალების ქაჩვითა და ჯგიმვით მაინც იცნობს ხალხი, სოროში მჯდომი მსუქანი გრანტმღრღნელი, ნინო ლომჯარია 48%-იანი მოწონებით როგორ უნდა უსწრებდეს ამათ? — „ედისონ რისერჩ" ცრუობ! რას მიჩაგრავთ ამ ღვწლმოსილ გრანტიყლაპია გოგო-ბიჭებს?

არ მინდა, ამ სიაფანდ კვლევებს გადავუხვიო, თორემ ისეთი პროცენტები დევს, ყველაზე ჭკუადამჯდარ კაცსაც კი კვლევა-ნაშრომის განსახილველად.

ესეც კარგი იყო: „თვლით, რომ ქართულმა ოცნებამ იმდენი გააკეთა, რომ ხელახალი არჩევა დაიმსახურა, თუ დროა სხვა პარტიას მიეცეს შანსი?"

29% ამბობს, რომ ხელახალ არჩევას იმსახურებს, 71%-ს კი მიაჩნია, რომ სხვა პარტიას უნდა მიეცეს შანსი. იმისი არ იყოს, „ჩვენი კოლმეურნების თავჯდომარეა — გვარს არ დავასახელებო", ის „სხვა" ვინ არის, 90-იანებში ქუჩიდან პარლამენტში შეყრილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სისხლიანი კრიმინალური ბანდა?

ყველა პროცენტს რა განიხილავს, ეს მცირედიც საკმარისია წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ მთლიანი სურათი რომ მაინც გვედოს, შევუდაროთ არჩევნების შედეგებს.

კითხვა: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მიცემდით ხმას?

ალოკაციით, შეწონვის მეთოდით შედეგები ასე გაანაწილეს:

„ქართული ოცნება"/„ხალხის ძალა" — 32,4%;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „სტრატეგია აღმაშენებელი" — 17.3%;

„ძლიერი საქართველო": „ლელო", „ხალხისთვის",„თავისუფლების მოედანი" — 12.8%;

„საქართველოსთვის" — გიორგი გახარია 11.2%,

კოალიცია „ცვლილებისთვის" „ახალი"„გირჩი"/„დროა" — 9.9%;

„გირჩი"- იაგო ხვიჩია — 5.2%;

„ლეიბორისტული პარტია" — 3.3%;

„პატრიოტთა ალიანსი" და ალტ-ინფო — 2.6%;

„მოქალაქეები — 2.2%;

„სამართლიანობისთვის" - ეკა ბესელია — 0.9% სხვა პარტიები — 0.4%.

კვლევა პირისპირი გამოკითხვით ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით და შემთხვევითი შერჩევის პრინციპითო, სულ 1 000 საარჩევნო უფლების მქონე პირი გამოიკითხა და შესაძლო ცდომილება 2.5%-აო. ამათ რომ პროცენტები იციან, უკეთესს ვერ ინატრებ!

გამომკვლევლებს და გამოკვლებულებს თუ აედევნები, გაიგებ, რომ უკვე სასტიკად დაუმარცხებიათ „ოცნება" და გამარჯვებულები არიან, თუმცა, გაუგებარია, რაღა ანერვიულებთ ასე ძლიერ წინსწრებით გამარჯვებულებს?

მოკლედ, ამათი შეკვეთილი კვლევა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ემსახურება პოსტსაარჩევნო პერიოდისთვის, რომ ვითომ ოპოზიციას არჩევნების შედეგები გაუყალბეს და ქუჩაში გამოსვლა იქნება საჭირო. სულ ესაა!

**ზურა ოქხერელი**



# სამართლებრივი არგუმენტები, რის გამოც მამუკა ხაზარაძემ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით საქართველოსთან საერთაშორისო დავა წააგო



2024 წლის 29 ივლისს პარიზის არბიტრაჟმა საქართველოს მთავრობისა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ საჩივარი განიხილა, რომლის მიხედვითაც, დავა საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

საერთაშორისო კანონმდებლობით, არბიტრაჟის შესახებ არბიტრაჟს არ აქვს უფლებამოსილება, იმსჯელოს დავაზე, თუ მხარეები არ შეთანხმებულან არიბტრაჟზე და საარბიტრაჟო შეთანხმების მოთხოვნები არ არის დაცული. ამასთან, მხარეები თანხმდებიან წინასწარ წერილობით დავის შემთხვევაში არბიტრაჟზე დავის გადასაცემად (ცნობისათვის, ხშირად ეს ხდება ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო შეთანხმების ჩადებით), ან მისი წარმოშობის შემდეგ. როგორც ცნობილია, მოდავე მხარეებს შორის ასეთი შეთანხმება არსებობდა, წინააღმდეგ შემთხევაში, პარიზის საარბიტრაჟო სასამართლო მას ვერ განიხლავდა.

დავა შეეხებოდა „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების შესრულების შეწყვეტას, მოშლას. კერძოდ, ინვესტორის მიერ საინვესტიციო ვალდებულებების მრავალჯერადი დარღვევის გამო, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, შეეწყვიტა საინვესტიციო ხელშეკრულება.

**მაინც, რატომ არ გაიზიარა პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ ხაზარაძის არგუმენტები და როგორ უნდა შეფასდეს სამართლებრივად, ყოფილი ბანკირის საჩივარი?**

ნებისმიერი დავა სასამართლოში, როდესაც ის ხელშეკრულების შესრულებას, შეწყვეტას ეხება, კანონის მიხედვით, მხარეთა ვალდებულებიდან გამომდინარეობს. მამუკა ხაზარაძე, როგორც მოდავე საარბიტრაჟო მოსარჩელე, სადავოდ ხდიდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერებას და ითხოვდა დაახლოებით 1,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაციის დაკისრებას შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ სასარგებლოდ.

არბიტრაჟმა სრულად გაიზიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი სამართლებრივი არგუმენტები და მტკიცებულებები და დაადგინა: მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ მშენებლობისთვის საჭირო დაფინანსების მოსაძიებლად დადგენილი ვადების მრავალჯერ გადავადებისა, ინვესტორმა მთლიანად საკუთარი ბრალეულობით ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება; ასევე, პროექტის დაფინანსების ვალდებულება სრულად ეკისრებოდა ინვესტორს, რომელმაც საკუთარი მიზეზით ვერ მოიძია საჭირო სახსრები; პროექტის კომერციული რისკის მატარებელი იყო მხოლოდ ინვესტორი; მთავრობას, არც პირდაპირ და არც ირიბად, ინვესტორისთვის ხელი არ შეუშლია პროექტის განხორციელებაში. უფრო კონკრეტულად, **მათ შორის, ვერ მოიზიდა 120 მილიონი აშშ დოლარი საკუთარი კაპიტალის შესავსებად, ვერ წარმოადგინა ხელშეკრულებები 400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხის გამოყოფის თაობაზე საერთაშორისო ბანკებთან, პირველი ფაზის ტერმინალის ოპერატორთან და პირველი ფაზის სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან, რითაც მთავრობას წარმოეშვა ხელშეკრულების მოშლის სრული და უპირობო უფლება**. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არბიტრაჟმა დაადასტურა, რომ საქართველოს მთავრობამ საინვესტიციო ხელშეკრულება შეწყვიტა კანონიერად და მოსარჩელის მოთხოვნა 1,5 მილიარდი აშშ დოლარის ანაზღაურებაზე, სრულად უარყოფილ იქნა. პირიქით, მოსარჩელეს საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ დაეკისრა 650 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.

ჩემთვის, როგორც ადვოკატისა და საერთაშორისო არბიტრაჟის DEARSI -ის სკოლის კურსდამთავრებულისათვის, რომელსაც 2016 წელს მიღებული აქვს შესაბამისი დიპლომიც და კარგად ვიცნობ საარბიტრაჟო სისტემას, როგორც ინსტიტუტს, არ გამკვირვებია საარბიტრაჟო სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება, რადგან ყველა ხელშეკრულება არის ვალდებულების საგანი. როდესაც ამ უკანასკნელს ვერ ასრულებ, კერძოდ, ვერ მოიძიე დაფინასების სახსრები, ხელშეკრულების ვადაც უშედეგოდ გავიდა, მთავრობა, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ ჩარეულა ვალდებულების შესრულების პოლიტიკაში და არც ხელი შეუშლია მის მოპოვებაში, მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორს, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს, სრული უფლება ჰქონდა, მოვალისაგან ხელშეკრულების შეწყვეტა, მოშლა მოეთხოვა.

ცნობისათვის: საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც აგებულია საერთაშორისო საკანონმდებლო პრინციპებზე, რითაც ყველა საერთაშორისო სასამართლო ხელმძღვანელობს, არსებობს ასეთი ჩანაწერი: **„სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი“.**

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ გაუგრძელა ვადა შპს „ანაკლიის კონსორციუმს“ ვალდებულების შესასრულებლად, მაგრამ მისი შესრულება ვერ შეძლო, თუმცა მომჩივანმა ხაზარაძემ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დავა დავისათვის მაინც განაგრძო.

**რატი ბრეგაძე**: „ბატონი ხაზარაძე, როგორც უკვე ცნობილია, ქართული სახელმწიფოსგან 2020 წელს ითხოვდა 1.5 მილიარდი დოლარის გადახდას, რაც იმ დროისთვის იყო ნაერთი ბიუჯეტის 25% (მეოთხედი) და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), ანუ საქართველოს ეკონომიკის 9%-ზე მეტი. თუ რა კატასტროფული ეკონომიკური და ფინანსური შედეგი მოჰყვებოდა ქვეყნისთვის მის გამარჯვებას, ვფიქრობ, ყველასთვის ცხადია. ასევე, გაუგებარი და წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, ადამიანმა, რომელსაც პოლიტიკაში და ქვეყნის სამსახურში ყოფნა დეკლარირებულად გსურს, მოსთხოვო სრულიად უსამართლოდ შენს საკუთარ სახელმწიფოს მისი ბიუჯეტის მეოთხედი და ასეთი საფრთხის წინაშე დააყენო შენი მოსახლეობა“.

არ შეიძლება არ დაეთანხმო იუსტიციის მინისტრის, ბატონი **ბექა ძამაშვილის მსჯელობას**. აი, რა თქვა მან ერთ ერთ მედია საშუალებასთან კომენტარის, მსჯელობის დროს: „პირველად იყო „რუსთავი 2“-ის საქმე... ქვეყნის შიგნით საკითხის გარშემო შექმნილი რეზონანსი, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის, საერთაშორისო აქტორებისა და მედიის ცალკეული წარმომადგენლების მიერ შექმნილი „საზოგადოებრივი აზრი“ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სტრასბურგის სასამართლომ ჩვენი პოზიციების/მტკიცებულებების გაანალიზებამდე მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება – შეაჩერა კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება (მანამდე საკუთრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების საქმეებზე მსგავსი გადაწყვეტილება არ ყოფილა). ეს იყო პირველი „მძიმეწონიანი“ საქმე, რომელიც აფასებდა საქართველოში მოქმედი მართლმსაჯულების სისტემას, მედია გარემოს და თითქოსდა მათზე პოლიტიკურ გავლენებს. სახელმწიფოს წინააღმდეგ დამატებით მესამე მხარედ ჩაერთო სახალხო დამცველი და ერთ-ერთი NGO. ამ ვითარების გათვალისწინებით, რთული იყო, თუმცა ის დავა სრულად მოვიგეთ – დადასტურდა, რომ არც პოლიტიკური ჩარევა ხდებოდა, მართლმსაჯულებაც ევროპული კონვენციის სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებდა და მედიაგარემოც იყო ჯანსაღი.“

როგორც აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების არგუმენტაცია იმდენად საფუძვლიანი იყო, პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ საერთაშორისო ზეწოლას, რომელიც ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხებოდა.

კომენტარი აღარ სჭირდება იუსტიციის მინისტრის, ბატონი რატი ბრეგაძის შეფასებას. მან ერთ-ერთ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადებით სრულად შეავსო ხაზარაძე-ანაკლიის პორტის დავის პოლიტიკური კონტექსტი: **„წარსულს ჩაბარდა ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაუშვებს ხალხის გაღატაკების, ეკონომიკის გაცამტვერების და ქვეყნის რეპუტაციის დაზიანების ხარჯზე ვინმეს უსამართლოდ გამდიდრებას ან უკანონო და ქართველი ხალხის სურვილთან შეუსაბამო ინტერესების მზაკვრულად განხორციელებას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იცავდა, იცავს და მომავალშიც წარმატებით განაგრძობს საქართველოს სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვას“.**



**ლევან ჭილლაძე**



# გახსნილი „პანდორას ყუთი“ და „გლობალური ომის პარტიის“ შორსმიმავალი გეგმები

„როგორც ჩანს, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე „შემთხვევით“ გახსნეს ის „პანდორას ყუთი“, რომელმაც ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო „ლიცენზიების“ გაცემა ყველა იმ უხერხულ და არასასურველ მსოფლიო ლიდერთა ფიზიკურ ლიკვიდაციაზე, ვისი დღის წესრიგიც არ შეესაბამება „გლობალური ომის პარტიის“ შორს მიმავალ გეგმებს. მსოფლიომ შეიტყო მთელ რიგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტზე, საეჭვო ვითარებაში თავდასხმის მცდელობაზე, სატელეფონო „მეგობრულ გაფრთხილებაზე“ მოსალოდნელი ტერაქტის თაობაზე, გაურკვეველ პირობებში ირანის პრეზიდენტის დაღუპვაზე, „ჰამასისა“ და „ჰესბოლას“ ლიდერების ლიკვიდაციაზე და ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადებასთან დაკავშირებით ჩვენთან მიმდინარე გამოძიებაზე.

ეს ყველაფერი კი 15 მაისს დაიწყო. სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს სიცოცხლის ხელყოფის ველური მცდელობა გახდა კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად მყიფეა, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმები, ათეულობით წლების წინ მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუხედავად. და საქმე სულაც არ არის იმაში, რომ მსოფლიოში ზოგადად არსებობს პოლიტიკური მკვლელობების გარკვეული „ტრადიცია“. მსგავსი რამ მოხდა ბევრგან გასული ათწლეულების განმავლობაში – აყვავებულ შვედეთსა თუ სერბეთში, ამერიკაში, პრეზიდენტები არაერთგზის დაჭრეს ან მოკლეს; იტალიაში, 50 წლის წინ, პრემიერ-მინისტრი ალდო მორო გახდა ტერორისტების მსხვერპლი, ისევე, როგორც შვედეთში ქვეყნის პრემიერი ულოფ პალმე. თითოეული ეს ტრაგედია განსაკუთრებული გარემოებების შედეგი იყო და მცირე გავლენა იქონია ისტორიის ზოგად მსვლელობაზე, ხოლო მსგავსი მოვლენები აღმოსავლეთ ევროპაში იმ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომ სახელმწიფო მოხელეზე თავდასხმა უკვე სერიოზულ საშინაო ან თუნდაც საერთაშორისო კრიზისს იწვევს.

ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები არ არიან სათავისოდ საკმარისად სტაბილურები და მათი პოზიციონირება საერთაშორისო არენაზე სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი გარე ძალების შეჯახების ველი. და თუ ეკონომიკურ ისტორიაში არსებობს „გვიანდელი ინდუსტრიალიზაციის“ კონცეფცია, მაშინ პოლიტიკასთან მიმართებით აღმოსავლეთევროპელების ბედი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „გვიანდელი სახელმწიფოს მშენებლობა“. შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში წარმატების მიღწევა, ჯერ კიდევ სერიოზული საკითხია. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვინახავს ისეთი ქვეყნების დამაჯერებელი მაგალითები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს განვითარების მსგავსი ტემპით გამოწვეული საბედისწერო ჩამორჩენის შედეგები.

პრინციპში, შერაცხადი ადამიანის შეიარაღებული თავდასხმა სახელმწიფო მოხელეზე მხოლოდ აღმოსავლეთევროპელ პოლიტიკოსს (პოლონეთში, სერბეთსა თუ უნგრეთში) ასევე უნდა ჰქონდეს სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის შიშის საფუძველი. აღარაფერს ვამბობთ ირაკლი კობახიძესთან განხორციელებულ „მეგობრულ“ სატელეფონო ზარზე. და ჩნდება გონივრული შეკითხვა: თუ საკუთარი პროტექტორატის ქვეშ აყვანილ სახელმწიფოებში გარე კონტროლის განხორციელება „დემოკრატიის“ განვითარების მიზნით (ამ შემთხვევაში, „ძველი“ დასავლეთის მხრიდან) არ უზრუნველყოფს დაპირებულ სტაბილურობას, მაშინ რისკენ არის ყოვე-

იცვლება მხოლოდ მიზნების გადაადგილება, გამომდინარე არა პარტნიორებთან ურთიერთობის პერსპექტივიდან, არამედ იქიდან, თუ როგორ შეიძლება ამ ქვეყნების გამოყენება „გლობალური ომის პარტიის“ თამაშში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ამა თუ იმ ვასალად გამოსაყენებელი სახელმწიფოს ნამდვილ ინტერესებთან. შედეგად კი, გვაქვს განხეთქილება ელიტასა და მოსახლეობას შორის, ვისთვისაც ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია გარედან ნაკარნახევი ძალაუფლების მქონე არაფორმალური მმართველობის ახირებაზე.

ები მაშინ დაიბადნენ, როცა საერთაშორისო პოლიტიკაში ყველა ძირითადი ძალა უკვე ჩამოყალიბდა. ჩინეთმაც კი, რომელმაც 1837-1949 წლებში განიცადა საშინელი აჯანყებების ასწლეული, გაიარა ისინი უკვე დამოუკიდებლად განვითარების ათასწლიანი ისტორიის გამოცდილების ხარჯზე. ინდოეთიც, რომელიც მე-18 საუკუნეში მოექცა უცხოური მმართველობის ქვეშ, მანამდე იყო მის ტერიტორიაზე დიდი სახელმწიფოების ასობით წლის განმავლობაში არსებობის გამოცდილების მატარებელი. რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი თუ დიდი ბრიტანეთი გასული




იმიტომ, რომ ის არ არის კმაყოფილი არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მიერ გატარებული კურსით, ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილია. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმ მთავარი მისიისა და კურსის ჩავარდნას, რომელიც დასავლეთმა თავის თავზე აიღო ცივი ომის დასრულების შემდეგ – თავისი პროტექტორატის ქვეშ აყვანილ ქვეყნებში (რომლებიც ადრე სსრკ-ის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ), ყოვლისმომცველი სტაბილურობის მიღწევის სახით. ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ერთ-ერთი მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა და იქ მოქმედი პოლიტიკური სისტემების მშენებლობის ხელშეწყობა. და თუ თანამემამულეთა არჩევანთან პიროვნულმა უთანხმოებამ შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების მეთაურის მოკვლის სურვილი, მაშინ შევთანხმდეთ, რომ ასეთ საზოგადოებაში სტაბილური დემოკრატია არასოდეს აგებულა.

მეტიც, – მაშინვე გაისმა საუბარი იმაზე, რომ ზოგიერთ სხვა ლივე ეს საერთოდ მიმართული? სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც დღემდე ვერ დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ ჯანმრთელ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, უაღრესად წესიერი ადამიანია და თავისი თანაგუნდელების მსგავსად, უფრო საკუთარი ქვეყნის ბედზე ფიქრობს, ვიდრე პირად კარიერაზე.

თუმცა, ასეთი ტრაექტორია საკმაოდ სარისკო ხდება იმ პირობებში, როდესაც ძლიერი გარე ძალები, რომლებსაც ჩვენ „გლობალური ომის პარტიას“ ვუწოდებთ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს მხოლოდ საკუთარი სტრატეგიული პრობლემების გადაჭრის პლაცდარმად განიხილავენ. ამ შემთხვევაში საუბარია უპირველესად შეერთებულ შტატებსა და მის ბრიტანელ მოკავშირეებზე, რომლებისთვისაც გასატარებელი საგარეო პოლიტიკა განიხილება მხოლოდ რუსეთთან და ჩინეთთან დაპირისპირების პერსპექტივების ჭრილში. ხოლო ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ ინსტრუმენტია ამ გლობალურ ბრძოლაში დომინირებისთვის.

ამ ახირების ერთ-ერთი ფიზიკური გამოხატულებაა ლიბერალური დასავლური მედიის აქტივობა, რომლებიც სიამოვნებით ატარებენ აღმოსავლეთ ევროპის არასასურველ პოლიტიკოსებს ცილისწამებისა და დეზინფორმაციის „ხორცსაკეპ მანქანაში“.

ასე მაგალითად, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გაზეთმა რობერტ ფიცოზე თავდასხმის შემდეგ, პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სლოვაკეთის დაჭრილი პრემიერ-მინისტრის ფოტო წარწერით „პუტინის მოკავშირე“. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის „ურჩი“ ლიდერების მიმართ მსგავს აგდებულ დამოკიდებულებასაც რომ დავანებოთ თავი, ან „გლობალური ომის პარტიის“ მიერ განხორციელებულ პირდაპირ დივერსიებსაც კი, ბევრად სერიოზული პრობლემაა თანამედროვე სამყაროში ამ რეგიონში შემავალ სახელმწიფოებში, სტაბილურობაზე აგებული მომავლის მშენებლობა და საკუთარი ადგილის პოვნა ბევრად დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო კონფიგურაციებში. ამ რეგიონის სახელმწიფოები საუკუნის დასაწყისშივე იყვნენ ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების მქონე იმპერიები.

აღმოსავლეთ ევროპაში შემავალ სახელმწიფოებს არ გააჩნდათ მსგავსი მდიდარი საკუთარი პოლიტიკური კულტურა და ტრადიციები, და ვერც მეოცე საუკუნის მშფოთვარე მოვლენებმა მისცა მათ ამ მიმართულებით რაიმე სერიოზული წინსვლის საშუალება. ამ პროცესების დასაწყისს ახლა, ჩვენ თვალწინ ეყრება საფუძველი, რასაც ყველანაირად ეწინააღმდეგება აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური „ჟანდარმი“. მსოფლიოს ამ რეგიონში ყალიბდება ასევე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს მეგობრობისა და პარტნიორული ურთიერთობების საფუძვლები, ასე რომ, ჩვენს თანამოაზრეებს და ერთსულოვან მოკავშირეებს „გლობალური ომის პარტიის“ მეტასტაზებიდან გათავისუფლების გზაზე – მხარდაჭერა და თანადგომა ვუსურვოთ.“

**დავით ქართველიშვილის „ფეისბუქიდან“**

# „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან...“


ხახულის კარედი

პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ვასილ მჟავანაძის მიმართ სიყვარულს რომ გამოხატავდა ხალხი, მათ შორის ჩემი თუში ლადო პაპა, დედაჩემის მამა. წლების შემდეგ, როდესაც ნინა მჟავანაძე გამაცნო გოგი შელეგიამ, გამახსენდა, რომ მჟავანაძეს ახლო შეხება ჰქონდა ჩემს უახლოეს ნათესავებთან და დავინტერესდი, როგორ მოიგონებდნენ ვასილ პავლოვიჩს „უბრალო ადამიანები“, დედაჩემი და ლადო პაპა.

ის, რომ ვასილ მჟავანაძის სკკპ-ის მდივნობის 19 წელი საქართველოსთვის აღმშენებლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის წლები იყო, არ მიმაჩნია განსაკუთრებულ ამბად. ვთვლი, რომ ყველა ხელისუფალი საკუთარი ქვეყნის აღმავლობასა და საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს, თუმცა, რა ხელისუფალსაც პირადად მოვესწარი, მივხვდი, სწორედაც რომ აღსანიშნი ყოფილა!

წლების გასვლა აღარ არის საჭირო, დღევანდელმა თაობებმა უკვე აღარ იციან, რომელ ხელისუფალს რა დამსახურება, ან რა მავნებლობა აქვს ჩადენილი საქართველოსა და მისი დედაქალაქის მიმართ.

ყველაფერი, რაც ვასილ მჟავანაძის დროს გაკეთდა, ცხადია, არ მემახსოვრება, მაგრამ რაც გამახსენდება, მოკლედ ჩამოვთვლი:

თბილისის მეტრო (მახსოვს, „სარდაფში“ ჩავდიოდით „საკატაო კიბით“, არ შემეშინდა მიწისქვეშეთის, თუმცა ბებიაჩემმა სახლში სერიოზულად იჩხუბა ჩემს გამო, თითისტოლა ბავშვი მიწაში წაიყვანესო. 1966 წ);

დასრულდა საქართველოს მომარაგება ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით, აშენდა ენგურის უნიკალური თაღოვანი კაშხალი და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (ჩვენს სახლში ბუნებრივი აირის შემოყვანაც მახსოვს, საბავშვო ბაღში დავდიოდი და გამოცანაც გამოვთქვი: „ერთი გოგოა, თავზე ოთხი ცეცხლი უკიდია. რა არის?“);

აშენდა ფილარმონია, სპორტის სასახლე, ჭადრაკის სასახლე, თბილისის რკინიგზის სადგური (უკვე არარსებული! რას ერჩოდნენ იმ უმყარეს ნაგებობას, ან რითი სჯობს ახალი შენობა, ჩემთვის გაუგებარია — დარჩენილიყო ისტორიად), სტადიონი „ქარიშხალა“ („ბურევესტნიკი“), ონკოლოგიური საავადმყოფო, ტელევიზიის შენობა (პირველად რომ ტელევიზორი ვნახე და ფილმსაც ვუყურე 20-მდე მეზობელთან ერთად, ესეც მახსოვს „კავკასიელი ტყვე ქალი იყო“ და დღემდე სასწაულად მიყვარს ეს ფილმი);

გაკეთდა საბაგირო გზები მთაწმინდასა და კუს ტბაზე;

გაშენდა ვაკის პარკი და გაიჭრა ვაკე-საბურთალოს გზა;

აშენდა სასტუმროები: „საქართველო“, „ივერია“, კოლხეთი“ (წმინდა ქართულ დასახელებებს დააკვირდით!);

დამტკიცდა თბილისის განვითარების გენგეგმა და თბილისი ვითარდებოდა ისე, როგორც უნდა ვითარდებდეს დედაქალაქი! ღმერთო, რას დაამსგავსეს თბილისი, — ბეტონის კუბიკების დაკლაკნილ მოედანს, მთაწმინდა აღარ ჩანს, მთაწმინდის პანთეონი ვიღას დაჰკარგვია!

იმდენი ფაბრიკა-ქარხანა აშენდა და გაუშვეს ექსპლუატაციაში, რა გამახსენებს ყველა მათგანს, ისევე, როგორც ყველაფერ იმას, რა გაკეთდა ბათუმისა და ფოთის პორტებში, ან რა კომბინატები გაიხსნა;

„ზოოვეტის“, „სასოფლოს“, „გეპეის“, „სამედიცინოს“ ახალი კორპუსები და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი რომ აშენდა, მახსოვს;

„ხრამჰესი“, „შაორჰესი“, „სოხუმჰესი“ და ბორჟომის სიახლოვეს „ჭითახევჰესი“ რომ აშენდა, ესეც მახსოვს;

თბილისში ბინათმშენებლობები მჟავანაძის დროს დაიწყო და ამას მოჰყვა თბილისის შემოგარენში სააგარაკე-დასასვენელი სახლების აშენება;

აშენდა და წარმატებით მუშაობდა სამშენებლო მექანიკის, კიბერნეტიკის, მოლეკულური ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, მართვის სისტემების, მეტალურგიის, ზოოლოგიის, კარდიოლოგიის, მევენახეობა-მეღვინეობის, სეისმოლოგიისა და ა. შ. უამრავი ინსტიტუტი, ცენტრები და ლაბორატორიები.

ეს რაც ხილული იყო, მაგრამ იყო ბევრი სხვა რამ, რაც არ ჩანდა, არ ხმაურდებოდა და ადამიანთა მხოლოდ ვიწრო წრემ იცოდა...

## ხახულის კარედის გადარჩენის ამბავი

ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი (1.47/2.02 მეტრზე. ოქრო, ოქროში დაფერილი ვერცხლი, ვერცხლი). კარედის მოჭედილობიდან შემონახულია გარეთა ნაწილზე ჭედურით შესრულებული ორნამენტული შეკრულობა (X ს.).

მოგვიანებით, ხატი ხახულის მონასტრიდან გელათში გადაიტანეს და ღვთისმშობლის ეკლესიაში დაასვენეს. XII საუკუნეში გელათში ახლიდან მოჭედეს ოქროთი და ვერცხლით, რელიეფური ორნამენტითა და ძვირფასი ქვებით შეამკეს, აჟურული ვარდულებით, სხვადასხვა დროისა და ფორმის ტიხრული მინანქრითა და ჯვრებით მორთეს. ორივე კარის ბოლოში მოხსენიებულია მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ძე დემეტრე.

სავარაუდოდ, მთავარი ხატი მოჭედილი იყო და ძვირფასი ქვები ამშვენებდა, ხოლო სახე და ხელი ჰქონდა მინანქრის. თურქ-სელჩუკებს გადაურჩა, მაგრამ 1859 წელს, პირველი გაძარცვის დროს დაიკარგა ხატი (მეორე გაძარცვის დროს ოქრომჭედლობის ბევრი საუკეთესო ნიმუში მოიპარეს, ასევე, ხახულის ხატისთვის შეწირული ყველა ნივთიც, მაგრამ კარედი გადარჩა მისი სიდიდის გამო. არ მოიძებნება ინფორმაცია, ისე გამოიყურებოდა თუ არა ხახულის ცენტრალური ხატი, როგორც XIX საუკუნის ფოტოებზე შემოგვრჩა.

განსაკუთრებულად ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით, ხახულის X საუკუნის თვალსაჩინო ნიმუში — ხახულის კარედი, მდიდარი ამერიკელისთვის უნდა მიეყიდათ. თბილისში ჩამოსული ყოფილან საკავშირო კულტურის სამინისტროს მუშაკი და კარედის მყიდველი ამერიკელი. მუზეუმის დირექტორი შალვა ამირანაშვილი სასრაფოდ დაკავშირებია ვასილ მჟავანაძეს, ასეთი ამბავიაო. მჟავანაძეს უთქვამს, ახლავე დაადე დიდი ბოქლომი მუზეუმს და გარკვეული დროით სადმე გადაიკარგეო. იმ რამდენიმე დღეში მჟავანაძემ შეძლო ხრუშჩოვის გადარწმუნება და ხახულის კარედი გადარჩა. დღეს ეს სიწმინდე საქართველოშია...

## თუშეთის (საქართველოს) გადარჩენის ამბავი

მე ლადო პაპასგან გავიგე (სხვამ — თავისი თუში წინაპრებისგან), თურმე უკვე დაბადებული ვიყავი, როდესაც რასულ გამზათოვმა (არადა, მიყვარდა მისი წიგნი „ჩემი დაღესტანი“ და ფრაზა „აბუთალიბმა თქვა“ — დღემდე ვიყენებ მეტყველებაში ამ ფრაზას), დაღესტნელმა პოეტმა, ხრუშჩოვის ყურამდე მიიტანა, რომ დაღესტანს საძოვრების სიმწირე ჰქონდა, თუშებს კი თავზე გადასდიოდათ, მით უმეტეს, რომ თუშები თუშეთში არ ცხოვრობდნენ. ხრუშჩოვი, ცხადია, გამზათოვის „იდეას“ თუშეთის ტერიტორიის დაღესტნისთვის გადაცემის შესახებ, დათანხმდა.

თუშეთს, შევარდნაძემდე, დენი არ ჰქონდა, სანთლისა და ლამპის შუქზე ვჭამდით ბოლო ჭამას, ხოლო თუ წყაროსთან საცეკვაოდ არ იკრიბებოდნენ ქალები, ადრიანად ვიძინებდით. ამასთან ერთად, მას შემდეგ, რაც თუშები ბარად ჩამოსახლდნენ (არსებობს თქმულება, რომ ბახტრიონის აღების შემდეგ მეფემ ზეზვა გაფრინდაულს ჰკითხა, რას მთხოვო. ზეზვამ უპასუხა, ბახტრიონიდან გავაჭენებ ჩემ ცხენს და სადაც დაეცემა, იქამდე არსებული ტერიტორია გვაჩუქე თუშებსო. ზეზვას ცხენი ტახტიბოგირებთან დაეცა უსულოდ და მეფემ ეს ტერიტორია თუშებს გადასცა. პირადად მე არ ვიცი, ზეზვას ცხენის გარდა, სხვა ვისიმე ცხენის შესანდობარი თუ ისმება მიჯნის ქვასთან ან სადმე სხვაგან. რეალურად რა ედო საფუძვლად თუშების მიმართ მეფეთა კეთილგანწყობას, სხვა თემაა). თუშეთში, გვიანი შემოდგომიდან ზაფხულამდე მართლა არავინ ცხოვრობდა მუდმივად, მხოლოდ რამდენიმე ოჯახი რჩებოდა რამდენიმე სოფელში. ცხადია, ხრუშჩოვის დავალებით გამზათოვის ინფორმაციას გადაამოწმებდნენ და მართლა აღმოჩნდებოდა, რომ თუშეთში მოსახლეობა არ ცხოვრობდა და ტერიტორია დასახლებულ დაღესტანს გადაეცემოდა.




ლადო პაპა

იმ დროს, ლადო პაპას დეიდაშვილის შვილი, კოსტა ჯამრულიძე იყო ახმეტის რაიკომის მეორე მდივანი. მჟავანაძემ და კოსტამ მოილაპარაკეს, რომ „დვიჟოკებს“ აიტანდნენ თუშეთში და ძირითად სოფლებს გაანათებდნენ. იმ დროს სამანქანო გზის არარსებობის გამო, ბენზოგენერატორების ატანა დიდი შრომატევადი საქმე იყო... თუშეთი განათდა! გადაიფრინ-გადმოიფრინეს ხრუშჩოვის „მზვერავმა“ ვერტმფრენებმა და დარწმუნდნენ, რომ თუშეთში ხალხი ცხოვრობს. მჟავანაძემ თავის მხრივ ჩააწვეთა ხრუშჩოვს, რომ გამზათოვის განზრახვა სისხლისღვრას გამოიწვევდა და ხრუშჩოვმა ხელი აიღო დაღესტნისთვის თუშეთის მიწების გადაცემაზე

## თუშეთის ტყეების გადარჩენის ამბავი

ბიძაჩემი (დედის ძმა) ერთხანს ეგერად მუშაობდა თუშეთში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ორი ძაღლი ჰყავდა, წითური ჰასანა და შავი კინტო, „ტელეგრეიკა“ ეცვა, მხარზე ორლულიანი თოფი ეკიდა და წელზე პატრონტაში ჰქონდა შემოკრული, ასე დადიოდა თუშეთის ტყეების დასაცავად. უძლიერესი ახალგაზრდა კაცი იყო იმ დროს, მისი ერთი გაშლილი ხელით დარტყმულის შემდეგ ვერაკაცი ვეღარ დგებოდა ფეხზე, ამიტომ სასტიკად ერიდებოდნენ ლეკები, რომლებიც ჩუმად, უკანონოდ ჭრიდნენ ხე-ტყეს და დაღესტანში გადაჰქონდათ. ბიძაჩემმა ხრიკი მოიგონა, თავის „ტელეგრეიკას“ ერთ ტყეში ჩამოკიდებდა, ძაღლებს მეორე ტყეში დატოვებდა და თვითონ მესამე ტყეში მიდიოდა, — სამ ტყეს ერთდროულად იცავდა ლეკებისგან. ჰასანა ზურგზე ისვამდა ჩემს ბიძაშვილ ნინოს და ასეირნებდა, მე კი, ქალაქელი არიფი კინტოზე ვერ ვჯდებოდი. სხვისი

ძაღლის დღემდე მეშინია.

გურამო ძიოსგან ვიცი, რომ უკვე ცოლი ჰყავდა (ანუ 1962-63 წელი იქნებოდა, ნინო არ იყო ჯერ გაჩენილი), როდესაც მჟავანაძე თუშეთში იყო ასული (უყვარდა თუშეთი), თუშებმა შესჩივლეს, დაღესტანთან ხელშეკრულება კი არის დადებული, მაგრამ კონტროლი არ არის, რასაც უნდათ და რამდენიც უნდათ, იმდენ ხეს ჭრიან, ასე თუ გაგრძელდა, ტყე აღარ გვექნებაო. მჟავანაძე თბილისში დაბრუნდა და ორ-სამ კვირაში ერთი დაღესტნელი აღარ იყო თუშეთის ტყეებშიო.

თუშებს თურმე ძალზე უკვირდათ ვასილ მჟავანაძის ულამაზესი მხედრობა, ცხენზე ისე იჯდა, თითქოს ცხენთან იყო შერწყმული, ოდნავადაც არ ინძრეოდაო...

დედაჩემმა მითხრა, სკოლა 1956-ში დავამთავრე, ასე რომ, 1953-54 წელი იქნებოდა, ერთი კვირა ჩვენთან იყო სახლში მჟავანაძე, გომეწრის ხეობაში, ჯვარბოსელშიო. ღიმილით გაიხსენა: მისი სტუმრობის პირველ დილას ჩემი დედ-მამა ბჭობდა, რითი გამასპინძლებდნენ საპატიო სტუმარს. ეტყობა, ყური მოჰკრა მათ საუბარს, გამოვიდა თავისი ოთახიდან და გამოაცხადა, დილას არაფერი მინდა თბილი რძის გარდა და ამ გოგონამ მომიტანოს ხოლმეო. მე გავიპრანჭე. მამაჩემმა შეიცხადა: რას ამბობ, რა რძე, სამი ჭიქა არაყი თუ არ გადავკარით საგზაოდ, ისე ვერსად ვერ წავალთო. რა ქნა მჟავანაძემ, რძეს მიაყოლა არაყი თუ არაყს რძე, აღარ ვიცი.

მჟავანაძეს რაიკომიდან ერთი პირი, მამაჩემი და ვეტექიმი, ხელაანთ პლატო ახლდა, ასე დადიოდნენ მთა-მთა და ტყე-ტყე, საკუთარი თვალით ნახულობდა და ისმენდა პრობლემებს. უყვარდა მჟავანაძეს თუშეთი და თუშები, შესაბამისად, შეგვიყვარდა თუშებსაც მჟავანაძე. უბრალო და უშუალო პიროვნება იყო, მისგან სიყვარული მოდიოდა...

### სრულიად საქართველოს გადარჩენის ამბავი

ცნობილი მონადირე, ტარიელ კაპანაძე ვასილ მჟავანაძის შვილის, ნინას მიერ გამოცემულ წიგნში „ასეთი იყო ჩემი საქართველო“, იხსენებს სრულიად საქართველოს გადარჩენის ამბავს. იგი 1954 წლიდან 1972 წლამდე ვასილ მჟავანაძის ერთ-ერთი ერთგული მეგობარი და მისი მაღალი რანგის სტუმრების მასპინძელი იყო.

**ამონარიდები ტარიელ კაპანაძის ინტერვიუდან**: „ქართველები ახლა აკმოლინსკში, კუსტანაიში და ცელინოგრადში რომ არ ვართ გადასახლებული, ვასილ მჟავანაძის დამსახურებაა. ხრუშჩოვს ქართველებისადმი ბოღმა და შური ახრჩობდა. ვერ იტანდა ქართველებს და, რომ დალევდა, იმუქრებოდა – გაგაციმბირებთო. მჟავანაძე რომ არა, ვინ იცის, ყირიმელი თათრებივით გვეხეტიალა წერილებითა და განცხადებებით ხელში მაღალჩინოსნების კაბინეტების კარდაკარ – სამშობლოში დაგვაბრუნეთო! საქართველოში სანადიროდ ჩამოსვლა კი უყვარდა, მაგრამ, ქართველები ვერ შეიყვარა.

1964 წლის გაზაფხულია. ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, გარდაბანში ვარ, ნაკრძალში. საღამო ხანს სახლში შევედი. ოთახში ორი ტელეფონი მქონდა – სამთავრობო და „ვეჩე". ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დარეკავდი, მას სანადიროდ ჩამოსულები იყენებდნენ. ვასილ პავლოვიჩი მირეკავდა, თუ დავჭირდებოდი, ტყეში სირენა მქონდა. „ვეჩე" თუ დარეკავდა, კისრისტეხით გავრბოდი. როდესაც მჟავანაძე ჩამოსვლას დააპირებდა, ყოველთვის რეკავდა, მაგრამ იმ საღამოს ტელეფონის ზარი არ ყოფილა. მჟავანაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა, არც სახლში წავიდა, არც „ცეკაში“, პირდაპირ გარდაბნისკენ გამოეშურა. ეტყობოდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. ვივახშმეთ. მერე ბევრი ვიარეთ მწუხრის ტყეში...

გვიან დავბრუნდით სახლში, ვასილ პავლოვიჩმა მითხრა, დარეკე, ხვალ დილით გივი ჯავახიშვილი და ინაური ჩამოვიდნენო. მათ იცოდნენ, რომ მჟავანაძე აქ იყო, მაგრამ, მოსკოვში რა საქმე ჰქონდა, არ იცოდნენ. ძალიან გვიანობამდე ვისაუბრეთ, არ ეძინებოდა.

მეორე დილით, 10 საათზე, ინაური და ჯავახიშვილი ჩამოვიდნენ. მე საუზმეს ვამზადებდი – კარი ღია იყო და მათი საუბარი მესმოდა. მჟავანაძე ამბობს: „ხრუშჩოვმა მითხრა, ყველაფერი გამზადებულია – კუსტანაი, აკმოლინსკი, ცელინოგრადი და ქართველები იქ უნდა გაგასახლოთო"...



ეს რომ გავიგონე, კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა. ვუსმენ, ვერც კარს ვხურავ და ვერც საუზმის გასაშლელად შევდივარ. „მერე იერიშზე გადმოვიდა, – განაგრძო მჟავანაძემ, მე ვუთხარი: ახლავე რომ გაგვასახლოთ, სისხლი დაიღვრება. მომეცი ექვსი თვის ვადა, ხალხს შევამზადებ-მეთქი. ექვსი თვე გეყოფაო? – მკითხა ხრუშჩოვმა. სავსებით-მეთქი და, აი, ჩამოვედი თქვენთან. ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ახლა გაოცება არაფერს უშველის. მარჯვედ უნდა ვიყოთ, პანიკა საჭირო არ არის. ამ ინფორმაციამ ხალხში არ უნდა გაჟონოს".

როდესაც მჟავანაძე ხრუშჩოვთან იყო, აფხაზეთის დელეგაცია ჩასულა. პავლოვიჩმა იცოდა, რომ აფხაზები მოსკოვში აპირებდნენ წასვლას, მაგრამ რა საკითხზე – არ იცოდა. მჟავანაძეც მის კაბინეტში იყო, როცა ხრუშჩოვს დაურეკეს და უთხრეს, აფხაზეთის დელეგაციას შემოსვლა უნდაო. მჟავანაძეს უთქვამს: წავალ, უხერხულია, რომანოვთან შევალო. არაო, არ გაუშვია ნიკიტას. შემოვიდნენ აფხაზები და ნიკიტა მიეგება, ვიცი, რატომაც ჩამოხვედითო. აფხაზებს გაუხარდათ. „ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს, – იგივე გაიმეორა ნიკიტამ, რაც მჟავანაძეს უთხრა, – წადით შუა აზიაში, ყაზახეთში, ცელინოგრადში. აფხაზები ისეთი ხალხი ხართ, იქაც მოიყვანთ ციტრუსს, – დაუცინია ნიკიტას, – იცხოვრეთ ისე, როგორც ავტონომიას შეეფერება, არაფერი შეიცვლება"... თურმე აფხაზები კარისკენ უხმოდ, უკან-უკან წავიდნენ. ეს ყველაფერი იმ დილით მოვისმინე.

ხრუშჩოვი სიმთვრალეში მუდამ ქართველების გასახლებით იმუქრებოდა, მაშინაც მთვრალი იყო, ალბათ. ვასილ პავლოვიჩი სულ ამ ჭირვეული ლოთის მორჯულებაში იყო.

ამ საუბრის შემდეგ მალე წავიდნენ. დავრჩი მარტო, დარდით გულგასიებული...

ოქტომბერი დადგა. ისევ ტყეში ვარ და სირენის ხმა მესმის, ესე იგი „ვეჩე" რეკავს, თურმე, ნიკიტა ხრუშჩოვი გადაუყენებიათ. ვერ აგიწერთ, ეს რა სიხარული იყო. მაშინ მივხვდი, რატომ უთხრა მჟავანაძემ, ექვსი თვე მაცალეო, – ამ ექვს თვეში ბოლო მოუღო. გული ამოვარდნაზე მქონდა...

მერე, მოგვიანებით, მოსკოვიდან ფოტოსურათი ჩამომიტანეს – ხრუშჩოვი ტიროდა. ისევ ქართველებმა მოუგრიხეს კისერი...

გავიდა დრო. ერთხელაც გავბედე და ინაურს ვკითხე: მართლა გაგვასახლებდა ხრუშჩოვი, ამას როგორ გაბედავდა-მეთქი? გაეცინა და მითხრა: აბა, რა გგონია, მზითევსაც გაგვატანდნენო. ხრუშჩოვის მოშორებაში ინაურმაც უდიდესი როლი ითამაშა და ეს ყველაფერი იმ ექვს თვეში მოხდა, მჟავანაძემ მოსამზადებლად რომ ითხოვა ხრუშჩოვისგან..."

ახლა კიდევ გამოჩნდა საქართველოზე შეყვარებული კაცი ბიძინა ივანიშვილის სახით. ისიც აშენებს და ილვწის ქვეყნისთვის, სწორება სამშობლო-საქართველოზე აქვს, მაგრამ......

დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო...

და რატომ?

**მაია ჭელიძე**

## ანაკლიის პორტის აშენება გლობალური ინტერესების კვეთაზეა

← 7 გვ.

ლოგიური უსაფრთხოების პრობლემებთან, გააძლიეროს ქვეყნის დამოკიდებულება ჩინეთზე, გააღიზიანოს დასავლეთელი პარტნიორები, აზარალოს საქართველოს ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები.

**— ზოგადად, ანაკლიის პორტის მშენებლობა რამდენად და როგორ შეუწყობს ხელს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, თუნდაც, ტურიზმის განვითარებას, რაზეც მუდმივად წუხს იქაური მაცხოვრებელი...**

— ნებისმიერ შემთხვევაში, ანაკლიის პორტის მშენებლობა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე და ტურიზმის სფეროშიც.

სავარაუდოა და ეს ასეც იქნება, პორტის მშენებლობა და მისი ექსპლოატაცია შექმნის ათასობით ახალ სამუშაო ადგილს, როგორც პირდაპირ პორტში, ასევე, მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებში. ეს შეამცირებს უმუშევრობას და გაზრდის მოსახლეობის შემოსავლებს; პორტის მშენებლობა მკვეთრად გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას - გზებს, სარკინიგზო ქსელს, კომუნალურ მომსახურებებს; გაზრდის რეგიონის მიმზიდველობას როგორც ტურისტებისთვის, ასევე ბიზნესისთვის; პორტის ფუნქციონირება გაზრდის სავაჭრო და ლოგისტიკური მომსახურებების მოთხოვნას;

**— ბოლოს, გვითხარით, რა გავლენას მოახდენს ანაკლიის პორტის მშენებლობა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე?**

— ეს ძალიან ფაქიზი საკითხი, გრძელვადიანი და კომპლექსური პროცესია, რომელიც მოითხოვს დიპლომატიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალისხმევას. თუმცა უდავოა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა, როგორც ეკონომიკური და სტრატეგიული პროექტი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გავლენას იქონიებს აფხაზებთან ურთიერთობების აღდგენასა და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პროცესზე. პორტის მშენებლობა და მისი წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გააძლიერებს მთლიანად საქართველოსა და რეგიონის ეკონომიკას, დამატებით სტიმულს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას და გააძლიერებს ქვეყნის შიგნით კავშირებს, ქვეყნის ერთიანობის შეგრძნებას და კონსოლიდაციას. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო უფრო წარმატებით ახორციელებს დიპლომატიურ და პოლიტიკურ ნაბიჯებს, რაც გაზრდის საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე.

**თამარ შველიძე**

## სჯობს ამერიკამ, საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობას მიხედოს!

← 8 გვ.

### ღირსებააყრილი ევროპა

ხელისუფლება ამბობს, ევროპაში ღირსებით უნდა შევიდეთო. მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ის ევროპა აღარ არსებობს, სადაც ღირსებით შეხვალ. იქ ღირსება აღარ არსებობს და სად შევდივართ — ღირსებააყრილ ევროპაში?! ულირსთან ღირსებით როგორ უნდა შევიდეთ?! დღეს ევრობიუროკრატიას თავისი ქვეყნები ულირსი გზით მიჰყავს, მოსახლეობას კი შეწინააღმდეგების უნარიც არ აქვს. ნატო-ზე საუბარი ხომ საერთოდ აბსურდია. რამდენჯერაც ნატო-ს ვახსენებთ, უკრაინის მოვლენები არ აგვცდება. კოსოვოს პრეცედენტი ხომ არსებობს. ეს იყო გაფრთხილება, რომელიც უნდა წაგვეკითხა და აფხაზეთში, სამაჩაბლოში იგივეს გამეორებისგან თავი აგვერიდებინა. დღეს კუბას მდგომარეობაში ვართ. თითქოს ცოტა გამოვედით კუბას როლიდან, მაგრამ ამ როლის მორგება, ახლა სომხეთს უნდა. მიზანი შავ ზღვაზე გასასვლელია და არა ყარაბაღის თემა. ყარაბაღი სომხეთმა დათმო. რუსებს ეუბნებოდნენ: ყარაბაღი რატომ არ დაიცავითო. რუსეთმა მიუგო: შენ თვალს დასავლეთს უპაჭუნებ და მე აქ ხალხი რატომ ჩავხოცოო. ეს ხომ უნდა გავშიფროთ — ლოდები შუა გზაზე დევს, თუ ვერ დაინახავ, დაეჯახები. აქვე ნურც ისრაელისა და ირანის მოვლენები დაგვავიწყდება.

### რა შეუძლია რწმენას

კობახიძე ირანში ჩასვლის გამო ლამის ჯვარს აცვეს. ირანი ჩვენი ახლო სამეზობლოა და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გლობალური გლობალისტების ინტერესები. მაგალითად, ისრაელი აზერბაიჯანს, რომელიც რუსეთთან მეგობრობს, ბევრ საკითხში დიდ დახმარებას უწევს, მას შეიარაღებითაც ეხმარება. ჩვენ გვეხმარება ისრაელი? — არა. იმიტომ, რომ ამერიკელების განწყობაა ასეთი. ან,საფრანგეთი იჩენს ჩვენ მიმართ ისეთ ყურადღებას, როგორსაც სომხეთის მიმართ? — არა. აშშ აზერბაიჯანს და სომხეთს ქვებს ესვრის ისე, როგორც მის „სტრატეგიულ პარტნიორ" საქართველოს?! ვიმეორებ, აშშ ჩვენი მტერია, რისი გამოსწორებაც ძალიან რთული იქნება. ამას დიდი დიპლომატიური გამოცდილება, გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული გათვლები და ძალიან სწორი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება იმათგან, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვაზეა პასუხისმგებელი. რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება და მასთან დიპლომატიური ხიდების აგება აუცილებელია, რათა მორიგი პროვოკაციის ან სხვისი გაზრდილი გეოპოლიტიკური მადის მსხვერპლი არ აღმოვჩნდეთ. ორივე დამღუპველი იქნება. დღეს ნომერ პირველი არა ღირსებით ევროპისკენ სვლა, არამედ აბობოქრებულ გეოპოლიტიკურ ოკეანეში პატარა საქართველოს გადარჩენაა. 3-ათასწლოვანმა, მუსულმანურ გარემოცვაში მყოფმა პატარა ერმა ამდენ ქარტეხილს, დამპყრობელს გაუძლო, შეინარჩუნა რწმენა, ენა და დღემდე არსებობს.

**თამარ შველიძე**



# კაკოს მოქესტილები

— ზურაჯან, მაგარი გოთვერნობები ხდება ყველგანა, უჟე მაგრათ აურიეს! — ეზოში ფეხის შემოდგმისთანავე ქოთქოთი დაიწყო ერვანდამ.

— რაზე ამბობ? — ვკითხე ცალყბად. ლეღვს ვკრეფდი, მსუსხავდა და მთლად კარგ განწყობაზე ვერ ვიყავი.

— მაიტა, შეეშვი მაგ ლეღვსა, ვრედნი რამე ხილია! — თავის კანტურით მითხრა და იქვე ჩამოჯდა.

— მე მიყვარს და შენც კარგად უბლაყუნებ ხოლმე, ამ დილას რა დაგიშავა...

— ამ დილას კი არა, ვაბშე დააშავა. იმ კამფორტნი რაიში ევამ განა მართლა ვაშლი ჭამა, ლეღვი მისცა იმ ვირიშვილმა გველმა, ვაშლი თუ რომ მიეცა, მაშინ პამიდორი მიუცია — ეგრეა!

— ძალიან შორიდან ნუ დაიწყე, ცოტა ახლოდან დაჰკარ, — ვიფიქრე, ცოტახანს ჩავაჩუმებ-მეთქი, იმან კი უფრო მოხსნა პირი.

— ის კრისა ნანულა სად არი, უნა უთხრა, რო ქალების უფლების სიაფანდ ვექილებსთან მიმიყვანოს, ყველანი მაგრათ უნა ვცემო, ნო მანამდინ, კუზანოვთან უნა მივიდე და უთხრა, რო მაგრად ქალად ვგძნომ თავსა და დოკუმენტი მომცეს ქალობისა. სლუში, რა მაგარ იტალიელ ქალსა გლიჯა იმ პიდარმონამ, იმ მითამ ალიმპიადაზე, — წამოიწყო ახალი თემები ერვანდამ.

— მოიცა, კიბიდან ჩამოვიდე, ხელები ისე მეწვის და მეფხანება, ვერ ვაზროვნებ, — ჩამოვაბიჯე კიბიდან და აჩქარებული გავემართე ონკანისკენ.

— ვა, შენც რა სმეშნოი ვინმე ხარ, კიბე რა ჩემ ფეხებად გინდოდა, მაგ ლეღვის ხის ნახევარი ხარ, ასწი ხელები და ეგაა, — ენისგაუჩერებლად მომდევდა ცუკცუკით ერვანდა.

ნანულის მოცემული რაღაც კრემი წავისვი და მომეშვა, მაგრამ მაინც მიხურდა.

— ეგ ის ნასეკომების მაზია? ეს ნანულა რა უმნი ვინმეა, ყველაფერ გამოაძვრენს ხოლმე ზოგჯერ და ხანდისხან... ზურაჯან, იცი, რა მომიტანიან, ჯიგრის კუპატი! კარქია, რო წუხელა წვიმდა და გრილობასავითაა, თორე მაგას რა შეწვამდა. შენ დაჯე, მე ვიცეკვამ! — საქმიანად დატრიალდა ერვანდა და ელვისებურად გააწყო სუფრა.

— ერვანდ, წეღან რას რატრატებდი, რა მანგუსტა და პითონი? შენი თავი არ მქონდა, ახლა მითხარი, ზოოპარკში იყავი თუ „დისქავერს“ უყურე...

— დავაი, მივსცხოთ, ჩამოყარე! იტოგში, მანგუსტა და სპიაშჩი პითონი საკუთარი პარტიიდამ მოქესტეს!

— ვინ არიან და ეგ სახელები ვის დაარქვი, — ამიტყდა სიცილი. გონების თვალით უცბად გადავათვალიერე ნაცპოლიტიკოსები, მაგრამ ვერ მივხვდი, ვინ იგულისხმებოდა.

— ტო, ბოკერია და მაგი ცოლი! მე არ დამირქმია, პოეტმა დაარქვა... ტო ვიდეოში. იცი, როგო აჭყეტამდა მანგუსტა თვალებსა? ისეთ კარკლობას აკეთამდა, ის პრირაჟდიონი კარკლა ბიჭი, შურით გასკდებოდა, თუ რომ ხედამდა.

— „კარკლა ბიჭი“ ვინღაა? — ისე გავმხიარულდი, ხელების ხურვება დამავიწყდა.

— მლადში ჭიჭე, რა! რო იქაჩება, არ გინახნიან როგორად აჭყიტავს თვალებსა? ტო, ვუყურამდი ამ მანგუსტასა და ვფიქრობდი, ეხლა ამასა გლიჯამს ბაშკაშიდა, ფართხალ დაიწყებს პოლზედა ი გაგორდება დორ ჩარივითა.

— საინტერესოა, რა მოხდა...

— იიი, ერთი ბრაკი ბოქსიორი რო აქთ, იმისა გამო — პარტიის ცეკა-ტეკამ გავარიტ, „გიყვარდეს კაკო, არ გაატრაკო!“ ცოლ-ქმარი უთხრა: რათ უნა გვიყვარდეს, ან კიდევა, როგო უნა გვიყვარდეს, ჩვენი თავი ძლივას შეგვყვარებიანო. სლუში, პარტია თითონ გაკეთეს, გლავარები თითონ იყვენ, სუ ძაან ივროპულ საქართველოში აკეთამდენ ძილსა და უცებ თავში ბუინი კაკო მოხდათ, — ხითხითებდა ერვანდა.

— მოიცა, კაკო ბობოხიძესთან რა ვერ გაიყვეს...

— იმ კაკოსა გაერთება სდომნიან ხაზარ ბანკირ პიავკასთანა, ესენი კიდე ატკაზზე იყვენ. სლუში, ეს ცოლ-ქმარი სუ რო ვრედნობას აკეთამენ, მაგიტომაც პროსტამ არ გვევასებიან, თორე მოზგი ვინმეები არიან, გულიცა რო უვარგოდეთ, საჭირო ტვინები იქნებოდენ. ტო, მაგათ ზუსტათაც რო იციან, რა გასასროკი მასალაა ეგ აფირისტი ბანკირი და რათ უნოდათ. ისედაც ვის რათ უნა ეგ მაგათი „ივრაპეისკი საქართველო“ და ეხლა კიდე სვერხუ ცირკის ბოზივით ნათრევი მითამ პოლიტიკოსი.

იტოგში, მანგუსტასთვინ ეგ სასტავი ისედაც მაგარი ნიზკი დონე იყო და პრიჩინა ნახეს, თითონვე ააცვეს, რა, მა იმ კაკოსა თავ ხო არ აცემინდებდენ... მამენტ, დასაფასებელი რამეა, პრიცეპები ნაღდათა ჰგონიათ მაგათა... ვაბშეტა, სუ თავში, სულაც ბოკერიამ არ დაშალა ნანულას სექტა? ის ბეზდელნიკი, გონებაჩლუნგი კუნთმაგარი სტარი ხრეჩ ბაქსიორი კიდენა, ხო ფულზეა დაგეშილი და სულ ეგ იყო მანდა ამბათ, ვილაცა სირთაოზებ კიდე ჰგონიანთ, ვა, რა ვესი ჰქონიან კაკოსაო — დაიკარქოს ერთი აქედანა!

— არ მიყვარან პოლიტბოზები...

— ნაღდები ხო გიყვარან, — თვალი ჩავუკარი მექალთანე ერვანდას.

— მა როგორ! ნაღდი ყველაფერი მიყვარს, იმათ შემოევლოთ ერვანდამა!.. იმ ჭკვიანებმა, ვინაც რო ამ ცოლ-ქმარ აჰყვა, გათვალეს, ტუპოები კიდევ ისევ შარვლის ტოტზე უკიდიან იმ პიავკასა. ტო, მასტი ჟურნალისტებ ემალება თავის პადელნიკთან ერთადა და რო აღარ ენდომება ეს ხლამი ბეზდელნიკები, ამათაც იგრე მოასრიალებს, როგორცა რომ ნა ლდუ, — ბეჭედი დაასვა საკუთარ ნათქვამს ერვანდამ და ისე გადაჰკრა, სადღეგრძელოს თქმა დაავიწყდა.

— ყველგან და ყველაფერში დომხალია გარშემო...

— მე რათა, ბიძინას გაუმარჯოს! ტო, ეგეთი რამე არ გამიგიან, ჩელავეკ ნევიძიმკას პონტში რებს აკეთამს. აი, თუ რომ ახლოშიდ მაჩვენა, მაგარ რეჩს გავუკეთამდი...

— რას ეტყოდი? — სერიოზულად დავინტერესდი.

— შენ რათ უნა გითხრა, ბიძინა ხარ? — დამტოვა სახეზე ღიმილშემშრალი. არადა, როგორ მაინტერესებდა და თან ეჭვი არ შემპარვია, რომ მეტყოდა.

— ზურაჯან, გემების სანახავად როდის უნა წავიდეთ? — მიხვდა, რომ გამახევა და სხვა ტალღისკენ გადაუხვია.

— აგვისტოს ბოლოსკენ წავიბარხატოთ... ჰოდა, გააგრძელე, რას ამბობდი? — არ მინდოდა ერთგვარად ენაღვლა, რომ მოლოდინი გამიცრუა და თვალიც ჩავუკარი.

— გვრიტებო, ორივე პოსტზე ხართ? — ეზოს კარებიდან დაიძახა ნანულიმ, მაგრამ იმხელა ხმაზე, მეგონა, ფანჯარაში შემოჰყო თავი.

— ვის გნებავთ? — მოწიწებით გასძახა ერვანდამ და მე მომიტრიალდა, — ზურაჯან, მგონი, ეგ კრისა შენთან გადმოდის საცხოვრებლადა.

— იქნებ იკარდოთ მოხმარება? — ისევ გამოიკივლა ნანულიმ.

გავედით. ნანული ისევ ეზოს კართან იდგა და წინ ბარგი ელაგა. წამიერად ამოვქოქე ვარიანტების მანქანა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე ხელმოსაჭიდი, რა ბარგი იყო ჩემს ეზოში, ვერ დავაწმინდავე.

— ეს ყველაფერი ჩემთან? ეს შამპანიურებიც? — ვიკითხე გაოცებაში ჩარჩენილმა.

— ყველაფერი ძაანაც სპაკოინათ იყო, ჰამა დაპარიადკებული, მთელი საქართველო გაიასნებული იდო: ნაღდი ნაცები და იმათზე მიკრულები; სიაფანდი ჟოპოზიცია და ხალხი. მოგვეპარა ის ბიძინაჩვენი შორიდანა და როგორც რომ კაი უჟასების კინოსა, დაჯდა საყურებლათა, ფიქრომდა, სლუში, მართალ მეობნებიან თუ მატყუებენ, ჩემი მიცემული ფულით აკეთამენ ეს კრისები უჟასებსა? მე კი უთხარ, რომანტიკა მინდა გავაკეთო ჩემი ხალხითვინა, მარამ, ესენები მართლა ხო არ ურევენ, მაიტა, ახლოსა ვნახოო. აჰა, ნახა და სრაზუ გაკეთა „ქართული ოცნება“, გავარიტ, უჟასების და ამ ერთი კულოკი ნაბიჭვრების ოცნება არალი ქართველი ხალხის ოცნება! გადახედა საქმესა და ვა, თურმე ჭადრაკის დაფა არა აქ, არცა ტოსმიკა...

— ტოსმიკა რა არის? — ერვანდას ანალიტიკაში უცხო სიტყვის ჩართვა თავიდანვე გასარკვევია ყოველთვის.

— ტოსმიკა რა, ნაჭრის პატარა მეშოკი, სადაც რომ ფიგურებ აგდებენ... ფიგურები მოიკითხა და იიი, ისიც ჩკა! ჰოდა, რო მოიკითხა, კარგათა ნახა, რაც ყოფილან. ეხლა, აგე, ზის და თამაშობს. წინ უდევ ჭადრაკის დაფაცა და ფიგურებიცა, გავარიტ, ჭადრაკი ბლაგაროდნი თამაშია, ჭადრაკის დაფაზედ რა უნა შაშკის ქვებსა? ბავშვებმა რო შაშკი-ნარდი თამაში რამე, არ იციან და ნარდზედა წკიპრუტებით რაღაც ომობანასა თამაშობონ, ეგაც ეგრე ერთობა — წაკრამს წკიპურტს შაშკის ქვასა და აგდებს მეშოკშიდა.

— მაგარი ხარ, ერვანდ, გაგიმარჯოს! — მივუჭახუნე „ახტამარიანი“ სირჩა.

— ჰოდა, იმას ვამბობდი რო, კაი ხოშიანად უდემს ის ჭადრაკის დაფა ბიძინასა და აპარიატკებს. ისინები ყვირიან, დაფა მაიტაო, ბიძინა კიდე ლაბავოი ი ტონკა უთხრა: ხელი აიღე, ტოო! ეს თქვენთვინაა პროსტა ჭადრაკის დაფა, სადაც რო ხოლოთ უნა ითამაშო, თორე ჩვენთვინ ათასწლეულების რელიქვიააო. ისინი ხო აზრზედ არ არიან, ეს რას ანბობს, მაგრამ რაღაც ხო გაუგიათ, ჰოდა, იმიტომაც გიჟებსა გავან.

„ივროპულ საქართველოს“ იგეთი დირკა გაუკეთა, მანგუსტასა და სპიაშჩი პითონის გარეშე, მაგარი წყალი შეუვათ ქვეშიდანა — რა ეგრეთი ამბავი პირველია თუ ბოლო იქნება? აი, პროსტა ვფიქრობდი და ვერ მოვიფიქრე ვინ არ დაშალა და ვინ არ წაშალა. ეს კაგებშნიკური რესპუბლიკანები რანაირადღა დაშალა, კგბ-საც აჯობა? შპიონები ხო სულ თვალებზე აგვადო; ცალ-ცალკე კიდე, ვინც მოკბიჩა, როგორც რო აფთარსა ლომი, ხერხემალში გადატეხილი დააგდო — მეტი რაღა ქნას ჯერჯერობითა?

ნუ, ის ხრამაია უტკა კი დაფორთხამს იმ ორბელიანების ზამოკშიდა, მითამ სული უდგია, მაგრამ კვდარია ეგა! მეტი რაღა ექნა ამ ბიძინასა, თვალში თით ხო არ ატაკებდა...

იტოგში, ერვანდ ტაკ დუმაეტ: ბიძინაჩვენსა სულაც არ უნა წყინდეს, თუ რომ უდავსა უთხრამ! ონ ნა ეტა კაიფუეტ, კლიანუს! ახლა უნა ოლიგარქი უთხრან, უნა ინაპლანეტიანელი, თავის წაუგებელ პარტიასა თამაშობს კაცი...

ნანული ისეთი თვალებით გვიყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს, მეგონა, ჩემი პირველი შეყვარებულის თვალებს ვხედავდი. შევლაგდით ორგზობაზე და დასჯილი მოწაფეებივით ჩამოვსხედით ნანულის წინ.

— რას მიყურებთ! ერვანდ, ჩემო ბიჭო, შამპანიურის ბოკალი მოაცუნცულე; ზურა, ჩემო ტკბილო, შენ — ჩამოსახე, — მოგვეფერა ნანული.

ერვანდამ პულსზე მიიდო თითები, მე ინსტინქტურად გულზე მივიდე ხელი.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ხომ იცით, რომ ძალიან მიყვარხართ! თქვენი ცუდი არ გამაგებინოს ღმერთმა! ჯერ მე მოვკვდე! — გვტყორცნა იდუმალებით მოცული წყევლა-სადღეგრძელო ნანულიმ და აცრემლებულმა ერთი ამოსუნთქვით დალია პირამდე სავსე ბოკალი.

— სავსემ ახუელ! — გადმომიჩურჩულა ერვანდამ და წამიერად დავუბრუნე, ასი პროცენტით-მეთქი.

— რას ჩურჩულებთ, თქვე სკლეროზიანებო! ღმერთო, ამათი არხეინობა და სკლეროზი მომეცი! შარშან ამ დროს ერთს ონის საავადმყოფოში დავტიროდი გულგაგლეჯილს და მეორეს — რაჭის ტყეებში ვეძებდი რკინის ქალამნებით, ორად ვიყავი გაჭრილი და ამათ არც ახსოვთ, — ჭერში თვალაპყრობილმა ნანულიმ ღმერთსღა შეჰღაღადა.

— ნანული! — ერთხმად ვიყვირეთ ორივემ და ისე ჩავბღუჯეთ სკვინჩასავით ნანული აცრემლებულებმა, კინაღამ შემოგვეჭყლიტა...

**ზურა ოქხერელი**



**Facebook: აი, აკაკი ბობოხიძე „შენი“ პარტიის დატოვებას რომ გაიძულებს, მანდ პოლიტიკას საერთოდ უნდა ჩაეხსნა. მეტი პოლიტიკური ანეკდოტი რა გინდათ...**

# აინთება თუ არა ახალი ომის კოცონი ახლო აღმოსავლეთში?

ყოველდღიურად იზრდება მსოფლიოში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საფრთხე. განსაკუთრებით ფეთქებადსაშიში ვითარება ახლო აღმოსავლეთშია. ისრაელის მიერ ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში დაწყებული სამხედრო ოპერაცია ღაზას სექტორში დღესაც გრძელდება. უფრო მეტიც, შეიარაღებული კონფლიქტი გასცდა ისრაელ-პალესტინის საზღვრებს და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ლიბანიც ჩაერთო მიმდინარე ომში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ არაერთხელ განაცხადა, რომ ბრძოლები ანკლავში დაჯგუფება „ჰამასის“ სრულ განადგურებამდე გაგრძელდება. არაბული ქვეყნების ნაწილმა შუამავლის ფუნქცია ითავა და მიაღწიეს კიდეც გარკვეულ შეთანხმებებს, მაგრამ მოლაპარაკებები, საბოლოო ჯამში, უშედეგოდ სრულდებოდა — ისრაელი ცდილობდა და ცდილობს, არ შეასრულოს აღებული ვალდებულებები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნეთანიაჰუს მიზანია, დაუპირისპირდეს არაბულ სამყაროს.

ლიბანზე განხორციელებული შეტევების გარდა, ისრაელის ავიაციამ აპრილის დასაწყისში სირიაში ირანის საკონსულო დაბომბა. მაშინ ირანის ხელისუფლება დაემუქრა საპასუხო შეტევით, რაც განახორციელა კიდეც, თუმცა ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ირანელებმა ისრაელს საკმაოდ რბილი ძალით უპასუხეს. ახსნილი იყო მათი ამგვარი ქმედების საფუძველიც — გაითვალისწინეს მეზობელი ქვეყნების თხოვნა, რომ თავი შეეკავებინათ მკვეთრი ნაბიჯებისგან, რათა კონფლიქტი რეგიონში ფართომასშტაბიან ომში არ გადაზრდილიყო, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვებოდა.

გასული კვირის დასაწყისში, ირანში ახლადარჩეული პრეზიდენტის, მასუდ პეზეშკიანის ინაუგურაცია გაიმართა, რომელსაც რამდენიმე ათეული ქვეყნის პირველი პირი ესწრებოდა. მათ რიგში იყო „ჰამასის“ პოლიტბიუროს ხელმძღვანელი ისმაილ ჰანინი. იგი ისრაელის მხარესთან ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი გახლდათ. ჰანინი ზომიერი, თავდაჭერილი და გაწონასწორებული პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელსაც პატივს სცემდნენ, იზიარებდნენ მის მოსაზრებებს არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მთლიანად რეგიონში.

ინაუგურაციის შემდეგ, ჰანინის რეციდენციაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად იგი დაიღუპა. სტუმრის მკვლელობამ აღაშფოთა მასპინძლები და სხვა ქვეყნების ლიდერები. „ჰამასის“ წარმომადგენლები მის მკვლელობაში პირდაპირ ადანაშაულებენ ისრაელისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. საინტერესოა, რომ თავდაპირველად ისრაელი კატეგორიულად უარყოფდა ჰანინის მკვლელობასთან რაიმე კავშირს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა კი მომხდარი საერთოდ უკომენტაროდ დატოვა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა კი განაცხადა, ჩვენ არაფერი ვიცოდით თუ მსგავსი შეტევა იგეგმებოდაო.

ჰანინის მკვლელობის შემდეგ, ირანის სულიერმა და ქვეყნის ლიდერმა აიათოლა ალი ჰომეინმა გასცა ბრძანება, რომ მისი ქვეყნის ჯარმა პირდაპირი დარტყმა განახორციელოს ისრაელზე. შურისძიებაზე ალაპარაკდნენ „ჰამასელები“. მათ გარდა, შეტევებით იემენელი ჰუსიტებიც იმუქრებიან. ალი ჰამეინის განცხადებით, ისრაელმა მოამზადა ნიადაგი საკუთარი ქვეყნისთვის მკაცრი განაჩენის გამოსატანად. მოკლული ისმაილ ჰანინის გამოსამშვიდობებელი ცერემონია თეირანის უნივერსიტეტში გაიმართა — ლოცვა თავად ალი ჰომენიმ აღავლინა. ჰანინი კატარის დედაქალაქ დოჰაში დაკრძალეს.

სულ უფრო გახშირდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ისრაელზე საპასუხო იერიშის განხორციელების მოწოდებები. ლიბანის მოძრაობა „ჰეზბოლას“ ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ჰანინის მკვლელობამ კიდევ უფრო გააძლიერა ისრაელის მოწინააღმდეგეთა რიგები: „ჩვენ ვამზადებთ ისრაელზე ნამდვილ წერტილოვან დარტყმებს და არა საჩვენებელს!“

„ანსარ ალაჰის“ ლიდერის, აბდულა მალიკ ალ-ჰუსის თქმით, გარდაუვალია, რომ ჰანინის მკვლელობას სამხედრო ძალით უპასუხონ, რადგან ისრაელის მოქმედებებს რეგიონი ფართომასშტაბიანი ესკალაციისკენ მიჰყავს. განსაკუთრებით საყურადღებოა თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი არ გამორიცხავს პალესტინაში თავისი ქვეყნის ჯარების შეყვანას იქაური მოსახლეობის დასახმარებლად — ადრე, მსგავს შემთხვევებში, თურქეთი ყოველთვის ნეიტრალურ, შემრიგებლურ პოზიციას იკავებდა.




შექმნილი მძიმე ვითარებით შეშფოთებულები არიან აშშ-ისა და ევროპის დიპლომატები, რომლებმაც გააქტიურეს მუშაობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მათი ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ როგორმე თავიდან აიცილონ ფართომასშტაბიანი ომი. ცდილობენ, დაიყოლიონ ირანი, რათა უარი თქვას ჰანინის მკვლელობის გამო ძალისმიერ პასუხზე.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ორი კვირის წინ ნეთანიაჰუ აშშ-ში იმყოფებოდა, სადაც ცალ-ცალკე შეხვდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს და ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს და სიტყვით გამოვიდა საკანონმდებლო ორგანოში. გავრცელებული ინფორმაციით, მას ბევრი კრიტიკის მოსმენა მოუხდა. თუმცა, ამერიკული პრესა არაერთხელ იუწყებოდა, რომ ნეთანიაჰუ უმართავი გახდა და აღარავის აზრს არ ითვალისწინებს. ახლაც აშშ-ის პრესის ინფორმაციით, შეხვედრისას ბაიდენმა მკაცრად გააფრთხილა ნეთანიაჰუ, რომ, შესაძლოა, ისრაელი ამერიკის სამხედრო-ფინანსური დახმარების გარეშე დარჩეს რეგიონში შემდგომი ესკალაციის გამო. ჰანინის ირანში მკვლელობამ შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, თურმე განსაკუთრებით გააღიზიანა ბაიდენი, რადგან ნეთანიაჰუსთან განიხილავდა მძევლების გათავისუფლების გზებს და ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის პირობებს.

ისრაელის მოსახლეობის გარდა, რომლებიც ყოველკვირეულად აწყობენ აქციებს ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, მთავრობის მოქმედებით უკმაყოფილოა იქაური პრესაც. გამოცემა „იერუსალიმ პოსტი“ გასულ კვირას წერდა, რომ ისრაელს შეეძლო ჰანინის კატარში ლიკვიდაცია, მაგრამ მისი ირანში მოკვლა არჩიეს, რათა ქვეყნის პროვოცირება მოეხდინათ და ირანი დილემის წინაშე დაეყენებინათ — ან საპასუხოდ საბრძოლო მოქმედებები დაეწყო, ან წყენა, შეურაცხყოფა არ შეემჩნია. თუ თეირანში განხორციელებულ მკვლელობას ირანი პასუხს არ გასცემდა, ისრაელი ირანს ტერორიზმის მფარველ ქვეყნად გამოაცხადებდა.

რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ახლო აღმოსავლეთში სასწრაფოდ ჩავიდა აშშ-ის შეიარაღებული დაჯგუფების მეთაური, გენერალი მაიკლ კურილა. მისი ვიზიტის მიზანია რეგიონში კოალიციური ჯარების მობილიზება, რათა ისრაელი ისევე დაიცვან, როგორც აპრილში. ექსპერტების შეფასებით, ეს ძნელად შესასრულებელი მისიაა, რადგან ისრაელის ხელისუფლებამ ყველა წითელი ხაზი გადაკვეთაო, აცხადებენ დაუფარავად.

ახლა მთავარ საკითხად რჩება, თუ როდის დაიწყებს ირანი შეტევას. ისრაელის პრესის ინფორმაციით, ირანი საბრძოლო მოქმედებებს 12-13 აგვისტოს დაიწყებს, იმ დროს, როდესაც ქვეყანა ხსოვნის დღეს აღნიშნავს. ენტონი ბლინკენი ამტკიცებდა, რომ ირანი შეტევას ორშაბათს დაიწყებდა. რას ეყრდნობოდა მისი პროგნოზი, სახელმწიფო მდივანი არ აკონკრეტებდა. ფაქტია, რომ ისრაელში ელოდებიან თავდასხმას. ამისთვის ნეთანიაჰუს და მთავრობის წევრებს საგანგებო თავშესაფარიც გამოუნახეს. „უოლსტრიტ ჟორნალის“ ინფორმაციით, „ირანმა უგულებელყო აშშ-ისა და არაბული ქვეყნების თხოვნა-მიმართვა, შეერბილებინა ისრაელის მიმართ რიტორიკა. პირიქით მოხდა, ირანი მათ შეჰპირდა, რომ საპასუხო დარტყმას მიაყენებს. გასულ შაბათს ირანის ოფიციალურმა პირებმა არაბული ქვეყნების დიპლომატებს განუცხადეს, რომ მათთვის სულ ერთია, საპასუხო დარტყმა გამოიწვევს თუ არა რეგიონში ფართომასშტაბიან ომს“, — წერს გამოცემა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იოვად გალანტმა კვირას სამხედრო მაღალჩინოსნების თათბირი მოიწვია, სადაც მოსალოდნელი შესაძლო შეტევის მოგერიების გზები განიხილეს.

ომის დაწყების ვადების პროგნოზირება ერთია, მაგრამ, საუბედუროდ, არავის აინტერესებს, რა ბედი ელის ისრაელის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ, ისტორიულ, კულტურულ ძეგლებს მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი შეტევის შემდეგ, თუნდაც იერუსალიმში არსებულ ქრისტეს საფლავს, რომელსაც ყველა სარწმუნოების ადამიანები პატივს სცემენ.

„ბრიტანეთში სამოქალაქო ომი გარდაუვალია!“ — განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა ილონ მასკმა. „ნისლიან ალბიონზე“ არეულობა 29 ივლისს დაიწყო და დღემდე გრძელდება, პოლიცია უძლურია, წესრიგი დაამყაროს. საპროტესტო აქციები არალეგალური მიგრანტების წინააღმდეგ იმართება მას შემდეგ, რაც აფრიკული წარმომავლობის ახალგაზრდამ ქალაქ სუტპორტში სამი ბავშვი დანით მოკლა.

ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნების დაწყებამდე აგორდა ოპოზიციის საპროტესტო აქციები მოქმედი მმართველის, ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ. არგენტინის პრეზიდენტმა, ჰავიერ მილეიმ არჩევნების დაწყებამდე განაცხადა: „არ ვცნობ მადუროს გამარჯვებას!“ ქვეყნის შიგნით მას საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ შეეცადა, მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო. ამაზეა ნათქვამი, „ძაღლი შინ არ ვარგოდაო...“ მადურომ მომხრეებთან გამოსვლისას განაცხადა: „მათ (ოპოზიციას — გ. ბ.) სურდათ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნა, ეს ვერ შეძლეს და ვერც შეძლებენ! ძალადობა და ფაშიზმი ჩვენს ქვეყანაში არავის გაუვა! პოლიციისა და ჯარის მეშვეობით ჩვენ გავუმკლავდებით ფაშისტურ აფეთქებას! ამჯერად აღარავისი დანდობა აღარ იქნება!“ ვერაფერს იტყვის კაცი, რადგან ნაცნობი სცენარია, რომლის გაგრძელებასაც აქაც, ჩვენს ქვეყანაშიც უნდა ველოდოთ, რადგან მეხუთე კოლონა ამისთვის უკვე ემზადება.

საინტერესოა, როგორც განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში და რა შედეგს მოუტანს მსოფლიოს სპარსეთის ყურეში არსებული სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი.




**გია ბურდული**

# კოზმასა და დამიანეს სალოცავიდან „დევის ხვრელამდე“...

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. სგ. N27)

მშენებლობის სამმართველს უფროსი იყო, გვარად საკანდელიძე, მასთან მიველი და მივიტანე ეს ქვა. ჩვენთან ამ ქვით ბუხრებს აშენებენ. დღევანდელი ჩვეულებრივი სამშენებლო ბლოკი 20/40-ზე 20-იდან 23 კგ-მდეა, იგივე ზომის სპონდიო 6-8 კგ-ია, ხერხით შეგიძლია გაჭრა, შესაბამისად, თაღი შეგიძლია გამოჭრა. უბისას ტაძრის შესავლელში მთლიანი თაღი რომ არის, სპონდიოს ქვა არის გამოჭრილი. ბერების კოშკი XI საუკუნეში არის აგებული სპონდიოთი და ძვრა არ აქვს. სპონდიო ხომ ქვას ჰქვია, „სპონდი“ სულხან-საბასთან განმარტებულია როგორც „შესაწირი“. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვით წარმოებდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა... როდესაც ბუხარი ამ ქვით არის ამოყვანილი, ცეცხლის ალი ხომ ჭვარტლავს და შავი ქვა ჰგონიათ... საბჭოთა კავშირის დროს, ტყიბულში შავი ქვა რომ მოიპოვებოდა, საწარმოს წინ ტრაფარეტად რა იყო გამოკიდებული თუ იცით **„მეტი შავი ქვა პარტიას!“**

დავუბრუნდეთ ნავანევს — რამდენჯერაც კულტურის მინისტრი შეიცვალა, იმდენჯერ მიველი ყველასთან. კარგი ბიჭი ხარ. — პასუხად მომწერენ წერილს და ამით მთვარდება მათი თანამდებობრივი მოვალეობის აღსრულება. ერთმა ბიჭმა ქუთაისიდან, რომელსაც ამგვარი საკითხები ეხება, მიპასუხა, მეტი საქმე არ მაქვს ახლა ტყეში ვიბოდიალოო. სამჯერ სხვადასხვა საკითხზე ვარ ამ გოგონასთან (თეა წულუკიანი) ნამყოფი, კი არ მომატყუა, აღმოჩნდა რომ განზე დავრჩი და დავანებე თავი.

დახედეთ რუკას, ეს მდინარე ჩხერიმელაა რომელიც ძირულას უერთდება სოფელ ძირულაში, მისი მარცხენა შენაკადია.

**— ეს ხომ ბერთა კლდეა, ნუნისი, აქ დავლიე ის სპილენძის წყალი კინაღამ რომ გამაქვავა...**

— კი, ბერთა კლდეა და ჩხერიმელას 90% ბერთა კლდეში გადის...

**— იმ ე.წ. პრომეთეს მღვიმეშიც კამკამა მდინარე გადის. რაღაც, სხვანაირია, ისეთი შეგრძნებაა რომ არსაიდან მოდის და არსაით მიდის... კი, ბატონო, ბერთა კლდეა, მაგრამ შიგ ვერავინ შედის, ამოქოლილია და ამ რუკის შემდგენმა რა იცის რა ფორმის მღვიმეა და რამხელა?**

— ქრისტიანი არ ხარ?! ხომ ხედავ რუკაა და გიჩვენებს მღვიმეს! რაჭველი და კახელი რით განსხვავდება ერთმანეთისგან?

**— რაჭველი გვიან ხვდება, კახელი საერთოდ ვერ ხვდება...**

— ჰოდა, რანაირი რაჭველი ხარ, მოითმინე ცოტა, მათქმევინე რისი თქმაც მინდა — ის საიდუმლო ჩასასვლელი, რასაც ჰადესის კარიბჭე ჰქვია და ეძებენ, უპირველესად — ეშმაკი ეძებს, მაგრამ გასაიდუმლოებულია, ჩემი აზრით, მისი ერთ-ერთი ჩასასვლელი აქ არის... ასევეა სფინქსის ქანდაკებაც. სფინქსის თავში ხვრელია, ჩასასვლელი, რომელიც ამოქოლილია. პირამიდები ვითომ ფარაონებისთვის აშენდა და არცერთი ფარაონი არ არის მასში დასვენებული, რაშია საქმე...

**— პირამიდები როცა შენდებოდა, აფრიკის კონტინენტზე ადამიანი არ არსებობდა, რომელი ფარაონების დასასვენებელი...**

— რას ჰქვია ადამიანი არ იყო, აბა, კოლხები სად დადიოდნენ...

**— კოლხები, დედამიწაზე ციდან დაშვებული პირველი სამეფო ხელისუფლების შთამომავლები იყვნენ, სადაც უნდოდათ იქ დადიოდნენ, მაგრამ პირამიდების აშენების დროს იქ მოსახლეობა არ იყო, შემდგომ განვითარდა ეგვიპტის ცივილიზაცია და საკითხავია, ვინ იდგნენ იმ ცივილიზაციის სათავეში, ციდან მოსულები თუ ციდან ჩამოყვანილი და დედამიწაზე განთესილი კოლხები... ჯერ იყო ძველი კოლხური ცივილიზაცია და შემდეგ აღმოცენდა „სადღაციდან“ ეგვიპტური ცივილიზაცია რაც ერთი-ერთზე იმეორებს ძველი კოლხური ცივილიზაციის მთავარ წარმმართველ შტრიხებს, დაწყებული „ღები-გები-დან“ დამთავრებული ე.წ. ეგვიპტური სკარაბეებით, რომელიც „რატომღაც“ რაჭის „რკინის კაცების სოფლის“ მხარეში იქნა აღმოჩენილი. ბატონო ავთანდილ, დავუბრუნდეთ ჩხერიმელას, თორემ ეგვიპტის გამო ინტელექტუალური ჩხუბი მოგვივა...**

— ჰო... ჩხერი-მელა უცნაურად არ გესმით? იქვე, მიმდებარედ არის სოფელი ჩხერი — ბებიაჩემის სოფელი. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ჩემეული მოსაზრებით, იქ სადღაც „ჩქერი“ იყო ალბათ, „ჩხერი“, ისევე როგორც „მშველიძე-შველიძე“, მეტყველებისას ბგერების ჩავარდნაა. ჩქერი რა არის — სიმაღლიდან ვარდნილი წყლის ჭავლი. მისი სრული სახელდება არის „ჩან-ჩქერი“, რაც ორი სიტყვისგან შედგება „ჩანს ჩქერი“, ანუ ხილულია, ჩანს, ვხედავ. ჩხერი მელა — ჩქერი მალავს! რას მალავს? ამ მდინარის საწყისი მღვიმეშია, გადის მთელ ბერთა კლდის მღვიმეს და მალავს იმას, რაც საიდუმლოა და მან იცის! წყალი ხომ ინფორმაციის მატარებელია...

მახსენდება ისკარიოტელი — აბა, გავშიფროთ! „ის კარი იოტ-ათია დაგმანული“... (სხვათაშორის, იოტა ერთი-ერთზე ჰგავს სვანურ ანგის და ეგვიპტურ ანხის – მ.ჭ.).

სამი თითის კომბინაციას შეხედეთ, ამაღლებული ადგილი არის ხარაგაული; ამერიკის კონტინენტზე არის ხარაგუა; ჩინეთში — ხარბილი, ეს სამივე ადგილი გამოთქმისას ერთმანეთს ჰგავს ისევე, როგორც ამავე ადგილებში მცხოვრებ უძველეს ხალხთა სახელები: აია, მაია, ტაია — რასთან გვაქვს საქმე?

ტაივანის ქართველმა აგენტმა (იგულისხმება თინა ხიდაშელი - მ.ჭ.) ისიც არ იცის, რომ ტარიელმა ხატაეთის (ჩინეთის) ის მობუნტარი ნაწილი, ტაივანი, ტაია ასმათს აჩუქა...

**— ნუ გადავალთ ახლა „ვეფხისტყაოსანზე“...**

— ნავანებზე ვიტყვი — მე მეგონა, რომ ნავანები, სიტყვის ფუძე „ვან“ მოსასვენებელ ადგილს ნიშნავდა. სიმონ ჯაფარიძემ მომატარა იქაურობა და ასკვნიდა, აქ სამონასტრო კომპლექსიც იქნებოდაო. „ვეფხისტყაოსნის“ 706-ე ტაეპში ვკითხულობთ: „ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა, განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა.“ ახსნაში ნავანები მითითებულია როგორც კაშკაშა სინათლით შემოსილი, ანუ უნივთო ცეცხლი, აღდგომა დღეს ცეცხლის გარდამოსვლა რომ ხდება — კაციშვილს არ აინტერესებს რა იყო ნავანების ადგილზე; არც კოზმანის მღვიმეში შესვლა; არც დევის ხვრელში შესვლა... ამ 30 კმ-იან გვირაბში რა არის, რატომ არ უნდა გაინტერესებდეს...

22 კაცის დასკვნა მაქვს ჩვენს ეკოლოგიურად სუფთა სპონდიოზე, შენთვის თუ არ გამოიყენებ, მსოფლიო ბაზარზე გაიტანე — არ აინტერესებთ!..

**P.S ჩემი და ბატონი ავთანდილის საუბარი ამით არ ამოწურულა, კიდევ შემოგთავაზებთ მის საინტერესო მოსაზრებებს. გაზეთის რედაქცია კი იმედს იტოვებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კომპეტენტური პირები დაინტერესდებიან საქართველოს მიჩქმალული ისტორიის შესახებ მცირედი, მაგრამ საგულისხმო ინფორმაციებით.**

ესაუბრა
მაია ჭელიძე


ოშკი


ბერთა კლდე




დევის ხვრელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99